ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 58 დღე

№ 136 (12 512) 11 ივნისი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## შოთამ გადაწყვიტა: ვან გაალთან მივდივარ!

ქართული ფეხბურთი »»» 2-4

## გოლების მერე ვტიროდი... იმიტომ, რომ პოლონელი ვარ

ინტერვიუ ლუკას პოდოლსკისთან »»» 7

# ვილია გმირია

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

| დღეს | |
|---|---|
| A ჯგუფი | |
| ჟენევა | |
| ჩეხეთი-პორტუგალია | 20:00 |
| A ჯგუფი | |
| ბაზელი | |
| შვეიცარია-თურქეთი | 22:45 |

## თერიმი სუფთა ფეხბურთს ითხოვს



დღეს მეორე ტური იწყება »»» 6



ევროს პირველი ჰეთ-თრიკი



## ჩემპიონს ტახტი შეერყა

D ჯგუფი »»» 5



# გოლი იყო!



პირლო დონადონის აკრიტიკებს

არიგო საკი: იტალია იყო ფერარი, საწვავის გარეშე

ჰოლანდია-იტალიის გამოხმაურება »»» 8-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ფრაიბურგს თარგამაძე უნდა, მაგრამ...



დავით თარგამაძე

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შუხაზელმა **დავით თარგამაძემ** "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდშიც გამოიჩინა თავი კარგი თამაშით. 19-წლამდელთა ბუნდესლიგა მალე დამთავრდება და ერთობ საინტერესოა, სად გააგრძელებს თამაშს თარგამაძე.

შევიტყვეთ, რომ "ფრაიბურგს" მისი დატოვება და შესაბამისად პროფესიული კონტრაქტის გაფორმება სურს, მაგრამ სხვა საქმეა, მოხდება თუ არა ეს.

თარგამაძემ იმდენად შთამბეჭდავად ითამაშა იუგენდლიგაში, მეორე ბუნდესლიგის "ფრაიბურგზე" უკეთეს გუნდს იმსახურებს. მოკლედ, ახლა სატრანსფერო პერიპეტიების დრო დადგა თარგამაძისთვის და ის ძალიან ახლოსაა ბუნდესლიგის რომელიმე გუნდში გადასასვლელად.

თარგამაძე "ფრაიბურგში" "ფონდი არველაძისა" და **ალექსანდე იაშვილის** ხელშეწყობით მოხვდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფრაიბურგელთა დამრიგებელი **ფოლკერ ფინკე** იყო.

**დავით თავართქილაძე**

ცნობები აღმოსავლეთიდან

# გილაური, ფალავან!



გილაურს გოლს ულოცავენ

ირანის თასის ნახევარფინალში აქვსენტი **გილაურის "ფეგამ"** ჯაბა მუჯირის "სეპაჰანი" რომ დაამარცხა, ადრეც გაუწყეთ. გუშინ კი ფინალის პირველ შეხვედრაში "ფეგამ" შინ "ესტეღლალი" დაამარცხა 1:0. ეს ერთადერთი გოლი გილაურმა გაიტანა საჯარიმო დარტყმით.

საპასუხო მატჩი თეირანში 16 ივნისს გაიმართება და ალბათ ასიათასამდე მაყურებელს მოუყრის თავს. "ესტეღლალი" გილაურის ყოფილი გუნდია, რომელსაც ირანის თასი ათჯერ აუწევია. "ფეგას" კი ეს ტიტული ჯერ არ ღირსებია.

რაც შეეხება ისპაჰანელ მუჯირს, მან ირანის თასი ორჯერ მოიგო, წლეულს კი მისი გუნდი უტიტულოდ დარჩა და მიუხედავად იმისა, რომ ირანის ჩემპიონეტში მეორე ადგილი დაიკავა, მთავარი მწვრთნელი დაითხოვეს - ბრაზილიელი **ჟორჟან ვიეირა**, რომელიც ჩვენებურს ალმაცერად უყურებდა და იშვიათად ათამაშებდა.

**დავით თავართქილაძე**

# მსაჯთა და ასისტენტთა საუკეთესოები

საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი კარგა ხანია დასრულდა და შეჯამების დროც დადგა. ანალიზსა და შეჯამებას კი მასმედიელთა გარდა ამ ორ გათამაშებაში ჩართული სტრუქტურებიც აკეთებენ. საქართველოს მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა განყოფილებამ 2007-08 წლების სეზონის 10 საუკეთესო მსაჯი და ამდენივე ასისტენტი გამოარჩია.

მსაჯები: **გ. ვადაჭკორია, ლ. კვარაცხელია, ა. კრიჭაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ა. ნონიკაშვილი, ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე, ლ. ფანიაშვილი, დ. ხარიტონაშვილი, ო. ხეცაძე.**

ასისტენტები: **მ. ელიკაშვილი, ლ. თოდრია, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი, ს. სპიცინი, ი. უკლება, ზ. ფიფია, გ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე.**

**დავით ცაბაძე**

შენ რას ფიქრობ, კოლეგა?

# ვილია, პოდოლსკი... და სხვები

## უკეთესი სანახაობა წინაა

**ალბათ, ხშირად გსმენიათ, ქართული სპორტული პრესა ოპერატიულობასთან ერთად, ძლიერია იმითაც, რომ ჩვენში სპორტის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეაქვს და ზოგ მომენტებში სპორტის მესვეურებს ალტერნატიულ მიმართულებასაც სთავაზობსო. მკითხველის სამსჯავროზე „ლელოს"კიდევ ერთი ახალი რუბრიკის გამოტანაც სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა.**

**საინტერესოა თუ რას ფიქრობენ სპორტული ჟურნალისტები ავსტრია-შვეიცარიის სტადიონებზე ფეხბურთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენს კოლეგებს სწორედ**

**ამ თემაზე აზრის გამოსათქმელად მივმართეთ. რესპონდენტებს სამი კითხვა დავუსვით:**

**1. რით განსხვავდება ევრო-2008, კონტინენტის წინა ჩემპიონატებისგან?**

**2. ბომბარდირობაზე რომელი სამი ფეხბურთელია თქვენი ფავორიტი?**

**3. გამარჯვებულის ან საბოლოო ოთხეულის თქვენეული პროგნოზი...**

**კობა ინასარიძე ("სარბიელი"):**

*1. სხვაობა აშკარაა. ჯერჯერობით, რასაც ვუყურებ, გუნდები უფრო დახვეწილ ფეხბურთს აჩვენებენ. წინა ჩემპიონატებთან შედარებით, ფეხბურთელებს კლასიც ეტყობათ, უფრო დასტატებულები ჩანან და მწვრთნელის ხელწერაც ნათლად ჩანს.*

*ერთი სიტყვით, საინტერესო მატჩები ვიხილეთ. წინ კიდევ არაერთი თამაშია და, ვფიქრობ, უკეთესი სანახაობა მოგველის.*

*2. გერმანიის გულშემატკივარი ვარ და ბომბარდირთა ფავორიტებს შორის უპირველესად* **მიროსლავ კლოზეს** *დავასახელებდი.* **ლუკას პოდოლსკიმაც** *დაიწყო გოლების გატანა და მისგანაც ბევრს მოველი.* **რუუდ ვან ნისტელროოი** *მაღალი კლასის ფორვარდია, ამიტომაც ამ სამეულში მოვიხსენიებდი.*

*3. მოწინავე ოთხეულის დასახელება გამიჭირდება. ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატს გერმანია მოიგებს.*

**კახა შალამბერიძე ("სარბიელი"):**

*1. სხვაობა ნამდვილადაა. წინა ჩემპიონატებისგან შედარებით, ამჯერად უფრო მაღალია ოსტატობა, რასაც ნაკლებად მოველოდი. აშკარად იგრძნობა, რომ გუნდები უკეთ არიან მომზადებულები და სანახაობრივად მდიდარი ჩემპიონატია.*

*2. ფავორიტთა სამეულში* **დევიდ ვილიას, ლუკას პოდოლსკისა** *და* **ფრანკ რიბერის** *დავასახელებდი.*

*3. მოწინავე ოთხეული? გერმანია, პორტუგალია, საფრანგეთი და ჰოლანდია.*

**გურანდა გურასაშვილი (სამაუწყებლო კომპანია "მზე"):**

*1. კი, განსხვავება ნამდვილად არის. ჩემი აზრით, ეს ჩემპიონატი უკეთესია, თამაშის კლასით, სანახაობრივი მხარით. თუ დამიჯერებთ, დაძაბული მატჩები დაზღვეული არც სენსაციური შედეგებისგან იქნება, ენდეთ გულშემატკივარი ქალის ინტუიციას.*

*2.* **დევიდ ვილია, რუუდ ვან ნისტელროოი, ლუკას პოდოლსკი.**

*3. ჰოლანდია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი.*

**ზურაბ უსუფაშვილი (საზოგადოებრივი მაუწყებელი):**

*1. სხვაობა არის, მაგრამ ძალიან დიდი-თქო, ვერ ვიტყოდი. თუმცა ჩემპიონატი ჯერ ეკვატორსაც არ მიახლოებულა. რაც ვნახეთ, უკვე პროგრესია. სხვაობა მომდევნო მატჩებში უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.და მაინც, ევრო 2008 წინა ჩემპიონატებისგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ ჯერჯერობით ფავორიტები იგებენ...*

*ევროპის პირველობაზე მუნდიალთან შედარებით ყოველთვის უკეთესი მსაჯობაა და ესეც ნათლად ჩანს. არბიტრები ობიექტურები არიან და აუგს ვერავიზე ვიტყვი.*

*2.* **ლუკას პოდოლსკიმ** *და* **დავიდ ვილიამ** *ბომბარდირობაზე უკვე გააკეთეს განაცხადი. ვნახოთ, რას იზამს* **კრისტიანო რონალდო.**

*...*

*3. საფრანგეთი, პორტუგალია, გერმანია, იტალია... იმედი მაქვს, ფრანგები უკეთ ათამაშდებიან.*

**დავით ცაბაძე**

***P.S.* რუბრიკას მომდევნო ნომრებშიც გავაგრძელებთ და შევეცდებით, სხვა კოლეგების აზრიც გაგაცნოთ.**

# ტოპმიოლერი განასთან მორიგდა



საქართველოდან წასული **კლაუს ტოპმიოლერი** უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილა. გერმანელმა მწვრთნელმა განის ფეხბურთის ფედერაციასთან მიაღწია შეთანხმებას და სულ მალე ოფიციალურად გახდება განის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

*"შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილი ამბავია - ტოპმიოლერი განის ნაკრებს ჩაიბარებს. მისი ქვეყნის ფეხბურის ფედერაციასთან კლაუს ტოპმიოლერს რეკომენდაცია ენტონი იებოამ გაუწია, რომელიც 1993 წელს სწორედ ტოპმიოლერის "აინტრახტში" თამაშობდა. გერმანელი განის ფეხბურთის ფედერაციას კონტრაქტის პირობებზე თითქმის მოურიგდა. ამ დღეებში ის ჩაფრინდება და საბოლოო მოლაპარაკებებსაც გამართავს"*, - ეს ცნობა გერმანულმა სააგენტოებმა გაავრცელეს.

თავად ტოპმიოლერი კი მომავლის გეგმებზე საუბრობს და როგორც საქართველოს შემთხვევაში, განის ნაკრებთანაც იმავე მიზანს ისახავს:

*"ჩვენი მიზანი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობაა. განის ნაკრებს ამისი პოტენციალი ნამდვილად აქვს და იმედი მაქვს ერთობლივი მუშაობით მიზანს მივაღწევთ".*

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

# გიგიაძე ტავრიაში დაბრუნდა



ვასილ გიგიაძე

ინტერტოტოზე ასპარეზობის დაწყებამდე სიმფეროპოლის "ტავრია" კიდევ ერთი ფეხბურთელით - ქართველი ფორვარდით, **ვასილ გიგიაძით** გაძლიერდა.

*"გამოცდილმა ქართველმა თავდამსხმელმა ვასილ გიგიაძემ "ტავრიასთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გიგიაძე, რომელიც გასულ სეზონში ახტირკის "ნეფტიანიკში", მანამდე კი "კრივბასში" ასპარეზობდა, ადრე "ტავრიაშიც" თამაშობდა. სიმფეროპოლში მასზე დიდ იმედს ამყარებენ, გიგიაძე ხომ ბომბარდირად სწორედ "ტავრიაში" წარმოჩნდა. კლუბის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ქართველი ფორვარდი სიმფეროპოლელებს კვლავაც დიდ სარგებელს მოუტანს"*, - წერენ უკრაინელები.

"ტავრიამ" უკვე დაიწყო ინტერტოტოსთვის სამზადისი. ფეხბურთელები გუშინ ბაზაზე შეიკრიბნენ და სამედიცინო შემოწმება გაიარეს. გუნდი რამდენიმე დღის განმავლობაში ადგილზე მოემზადება, 16 ივნისს კი ორკვირიან შეკრებაზე ავსტრიას გაემგზავრება.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: **თენგიზ გაჩეჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი;** მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში;** გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კონსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62;** ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ახალი ჩემპიონატის ახალი სისტემა: სამი წრე

## პირდაპირ რომ ვთქვათ, არის ჩვენს ჩემპიონატში შემთხვევები...


პაატა ბურჯალიანი

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომაზე გუშინ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს – 2008-09 წლების ეროვნული ჩემპიონატი სამ წრედ გაიმართება და 12-გუნდიანი იქნება.

ეს იყო თავად ლიგის წინადადება. წინა სხდომაზე მეორე ვარიანტიც განიხილეს – 12-გუნდიანი ჩემპიონატი ორ წრედ, შემდგომ ზედა და ქვედა ადგილების მიხედვით დაწყვილებული ექვსეულებით.

საბოლოოდ, სამწრიანი მოდელი დაამტკიცეს. ლიგიდან პირდაპირ მხოლოდ ორი გუნდი გავარდება, რომლის ადგილსაც პირველი ლიგის დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში გამარჯვებულები დაიკავებენ.

კვლავ გაიმართება ფლეი-ოფები – დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში მეორე ადგილებზე გასული კლუბები ჯერ ერთმანეთს შეხვდებიან, გამარჯვებული კი უმაღლესის მეათეადგილოსანთან დარჩენილი ერთი ადგილის მფლობელს გაარკვევს.

დადგინდა ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღიც – მეოცე ჩემპიონის გამოსარკვევად ტურნირი 2 აგვისტოდან დაიწყება.

შეიცვალა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის" თასის გათამაშების ფორმატიც – შარშანდელი ოლიმპიური სისტემით დაიწყო, ჯგუფურით გაგრძელდა და მეოთხედფინალებიდან ისევ ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა.

2008-09 წლის გამარჯვებულს მთლიანად ოლიმპიური სისტემა გამოავლენს. წესითა და რიგით, ესეც დადებითი მოვლენაა, რადგან ტურნირის ჯგუფური ეტაპის დასაწყისში გადაწურული იმედების შემდეგ, შარშან ზოგიერთი კლუბი დარჩენილ შეხვედრებს აშკარად ზერელედ მოეკიდა. ოლიმპიური სისტემა კი მსგავს ზერელეობას მაქსიმალურად გამორიცხავს.

შეიძლება ბევრისთვის უცნობია, რომ შარშანდელი და წლევანდელი სისტემებით გუნდების მიერ გამართული მატჩების საერთო რაოდენობა მაქსიმალურად დარეგულირდა. შარშან თასის ჯგუფური ეტაპები იმიტომ დაწესდა, რომ გუნდები ძალიან ცოტა (26) შეხვედრას მართავდნენ. სამწრიან ჩემპიონატში 33 შეხვედრა დაიგეგმება და სათასოთა რაოდენობის შემცირება აუცილებელი გახდა.

ერთგვარი რევოლუციური იყო გადაწყვეტილება ერთი გუნდიდან მეორეში იჯარით წასული ფეხბურთელების შესახებ - ახალი სეზონიდან მაქსიმუმ ორი მოთამაშის განათხოვრება იქნება ნებადართული.

სამწრიანი პირველობა ტარდება ირლანდიაში, შოტლანდიაში. სამწრიანი იმართება, მეოთხე წრეს კი მხოლოდ ზედა ექვსეულის გუნდები მართავენ – ესეც ამ ხალხისთვის დამახასიათებელი ერთგვარი პარადოქსია.

ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** გადაწყვეტილების მოტივებსა და ახალი სისტემის დეტალებზე გვესაუბრება.

- როდესაც 12-გუნდიან პირველობაზე გადასვლა გადაწყდა, მაშინ დაიწყო მსჯელობა, რამდენწრიანი ჩემპიონატი იქნებოდა უკეთესი. ორი წრე ძალიან ცოტა გამოდიოდა, ოთხიანი ძალიან ბევრი, სამწრიანის იდეაც იქიდან დაიბადა.

**- სამი თამაშიდან საშინაო შეხვედრას მეტჯერ ვინ გამართავს, ეს როგორ დადგინდა?**

- ვინც პირველ წრეში იქნება მასპინძელი, იგივე მიიღებს მესამეშიც.

**- სათასო მოდელის შეცვლა რამ განაპირობა?**

- ჩვენ გვსურს, რომ გულშემატკივარმა რაც შეიძლება მეტი საინტერესო შეხვედრა ნახოს. დასამალი არაა, ჯგუფურ ეტაპზე იმედი ვისაც თავიდანვე გადაეწურა, მერე უმოტივაციოდ თამაშობდა. ჩვენ კი უმოტივაციო შეხვედრების შემცირება გვსურს. ამას ემსახურება 12-გუნდა ჩემპიონატიც, სადაც თითოეულ ქულას მაქსიმალური ფასი დაედება.

**- იჯარაზე დაწესებული შეზღუდვების მიზეზებია საინტრერესო...**

- პირდაპირ რომ ვთქვათ, არის ჩვენს ჩემპიონატში შემთხვევები, როდესაც ლამის მთელ გუნდს ანათხოვრებენ და მერე მათ წინააღმდეგ თამაშის უფლებას არ აძლევენ, ან მეპატრონე კლუბის წინააღმდეგ ბოლომდე არ იხარჯებიან. ეს მიუღებელია.

**მერაბ მამულაშვილი**

# შოთამ გაი[illegible]ნს ალკმაარი და ვან გაალი გადაწყვიტა


არველაძე და ვან გაალი ისევ ერთად იმუშავებენ

**შოთა არველაძეს,** ფეხბურთელის კარიერა რომ დაასრულა, მწვრთნელობა უნდა დაეწყო და გადაწყვეტილებაც მიიღო - შოთა "ალკმაარში" იმუშავებს მთავარი მწვრთნელის **ლუის ვან გაალის** თანაშემწედ.

ვან გაალმა ჯერ კიდევ სამი კვირის წინათ განუცხადა ჰოლანდიურ მედიას, თანაშემწედ არველაძე მსურსო. ვან გაალი 3 ივნისს შოთას გამოსათხოვარ მატჩზეც ჩამოვიდა თბილისში, რაც ალბათ კიდევ ერთი იმპულსი იყო საიმისოდ, რომ არველაძეს ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. გამოსათხოვარ თამაშამდე შოთა ამსტერდამში ჩავიდა და "ალკმაარის" მიერ შეთავაზებულ კონტრაქტს გაეცნო, თუმცა გადაწყვეტილება ჯიქურ არ მიუღია.

არველაძემ "ალკმაარში" ორი წარმატებული სეზონი (2005-06 და 2006-07) ითამაშა, ალკმაარელთა მთავარი მწვრთნელი მაშინაც ვან გაალი იყო.

შოთას სამწვრთნელო ლიცენზია ჯერ არ აქვს, თუმცა უკვე დადის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ B ლიცენზიის კურსებზე. ჩვენი ფედერაცია ჯირას კონვენციის წევრია. ეს ლიცენზია არველაძეს უფლებას მისცემს ამ კონვენციის წევრ ნებისმიერი ქვეყნის საფეხბურთო კლუბის სამწვრთნელო შტაბში იმუშაოს.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# კანდელაკმა ავსტრია შტურმით აიღო

გრაცის „შტურმმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გუნდში მეორე ქართველი ჩაირიცხა – ავსტრიელებმა „კარლ ცაისიდან" **გიორგი კანდელაკი** გადაიბირეს. 26 წლის კანდელაკმა 2-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ავსტრიელები მას გუნდიდან წასული **მარკ პრეტენტალერის** შემცვლელად მიიჩნევენ. კანდელაკი „შტურმში" დაცვის ან ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშებს.

*„იენელებს ძალიან უნდოდათ კანდელაკის დატოვება, იმის მიუხედავად, რომ კლუბი მესამე ლიგაში გავარდა. თუმცა თავად ფეხბურთელიას აზრი გამოდგა გადამწყვეტი, მას მაღალ ლიგაში თამაში სურდა"*, - განაცხადა „შტურმის" სპორტულმა დირექტორმა **ვალტერ ჰორმანმა.**

„კლაინე ცაიტუნგი" წერს, რომ კანდელაკს მარცხენა ფრთის გარდა ცენტრშიც შეუძლია თამაში, სადაც **იურგენ ზომელი** ირჯება. ფეხბურთელი რომელიც სამ პოზიციაზე თამაშობს კარგი შენაძენია. **ფრანკო ფოდამ,** „შტურმის" მთავარმა მწვრთნელმა გაზეთთან საუბარში აღნიშნა, რომ **ვალდას ივანაუსკასს** დაეკითხა კანდელაკის შესახებ და ლიტველისგან ქართველი მცველის ძალიან კარგი რეკომენდაცია მიიღო. „კარლ ცაისის" ექს-თავკაცმა აღნიშნა, რომ კანდელაკი ტექნიკურად და ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთს თამაშობს.

კანდელაკის შეძენით „შტურმმა" დაასრულა კომპლექტაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ალბათ ველარ ვიხილავთ **სანდრო იაშვილს** ამ გუნდში. *„კი მსურს ფორვარდის დამატება, მაგრამ ამ ეტაპზე სატრანსფერო ბიუჯეტი ამოწურულია"*, - აღნიშნა ვალტერ ჰორმანმა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ იაშვილი „შტურმში" ისინჯებოდა და იყო საუბარი ზაფხულში ხელმეორე სინჯებზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ილია კანდელაკი (მარცხნივ)

სტაჟირებაზე არგენტინაში

**თქვენ დელგადო გიწვევთ!**

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** იწვევს 17-18 წლის ასაკის, პერსპექტიულ ფეხბურთელებს: ორ მეკარეს, ორ თავდამსხმელს, მარჯვენა და მარცხენა მცველსა და ნახევარმცველს სტაჟირებაზე 1-2 წლით არგენტინაში.

ფეხბურთელები სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ, დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში. მომზადების პროცესში შედის ამხანაგური მატჩები არგენტინის კლუბებთან.

სტაჟირების, აგრეთვე სხვა ხარჯებს გაიღებენ მსურველები ან მათი სპონსორები.

30 ივნისამდე, გამგზავრებამდე მსურველებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ ესპანურ ენაში. გასაუბრება და დაწვრილებითი ცნობები 10 ივნისიდან ყოველდღე, კვირის გარდა.

*ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა №4 (თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე) 12-დან 14სთ-მდე. ტელეფონი: 8 99 23 55 20*

ქართულ-არგენტინული საფეხბურთო კლუბი GEHARG-ის წარმომადგენლობა საქართველოში

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. ამერი

# ზაფხული უევროტურნიროდ

### ამერი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| დეკანოსიძე | 25 | 24 | 2 | 3 | - |
| რ. გოცირიძე | 25 | 20 | 10 | 3 | - |
| დობროვოლსკი | 24 | 23 | 3 | 5 | - |
| დიდავა | 23 | 23 | 2 | 4 | - |
| ელბაქიძე | 23 | 22 | 1 | 1 | 1 |
| დოლიძე | 23 | 19 | 3 | 2 | - |
| ტატანაშვილი | 23 | 11 | 13 | 3 | - |
| დავითნიძე | 22 | 22 | 3 | 7 | - |
| დავითაშვილი | 21 | 19 | 2 | 1 | - |
| ჩიკვილაძე | 19 | 17 | 1 | 1 | - |
| კაკაშვილი | 15 | 14 | 2 | 4 | - |
| ლ. ნადირაშვ. (მ.) | 15 | 14 | -14 | - | - |
| შალამბერიძე | 13 | 8 | 1 | 2 | - |
| ა. ალავიძე | 13 | 1 | - | 1 | - |
| ძვაჩახია (მეკ.) | 12 | 12 | -11 | 1 | 1 |
| მემარნიშვილი** | 11 | 7 | - | 2 | - |
| მესხი | 11 | 5 | - | 2 | - |
| დ. ბოლქვაძე* | 10 | 10 | 1 | 3 | - |
| გ. ჯელაძე* | 10 | 6 | 1 | 1 | - |
| კობაური* | 5 | 3 | - | 2 | - |
| ჩიმაკაძე | 5 | - | 1 | - | - |
| სილაგავა | 4 | 1 | - | - | - |
| ხვადაგიანი* | 3 | 3 | - | 1 | - |
| მჭედლიშვილი | 3 | 2 | - | 2 | - |
| ბ. ცხადაძე* | 3 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| ***5. ამერი*** | ***26*** | ***15*** | ***3*** | ***8*** | ***48-27*** | ***48*** |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |



დავით ბოლქვაძის წასვლამ ამერის თამაშს დაღი დაასვა



გიორგი ხორგუაშვილი

**აქამდე** "ამერი" სეზონიდან სეზონამდე აუმჯობესებდა შედეგებს და მიზანმიმართულად მიიწევდა კიდევ უფრო დიდი მიღწევებისკენ. ლოგიკის მიხედვით, კლუბის წინსვლა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ გლდანელებმა ბოლო სეზონი ჩააგდეს და უტიტულოდ და უევროსაგზუროდ დარჩნენ.

არადა, შარშან ზაფხულში "ამერის" ასეთ რეზულტატს არაფერი მოასწავებდა. საქართველოს ორგზის თასის მფლობელმა ღირსეულად იასპარეზა უეფას თასზე, სადაც "ბელხატოვთან" მარცხის მიუხედავად, რიგიანი შთაბეჭდილება დატოვა. დაღმასვლა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. ჩემპიონატის სტარტზე "ამერმა" უამრავი ქულა გაანიავა და მალევე ნათელი გახდა, რომ კვლავ საქართველოს თასზე გააკეთებდა აქცენტს. თუმცა ზედიზედ მესამე ტიტულის მოპოვება თბილისელებმა ველარ შეძლეს და ჯილდო "ზესტაფონს" გადაულოცეს. "ამერს" ინტერტოტოზე შეეძლო გასვლა, მაგრამ ამ გათამაშებაზე კლუბმა ტრადიციული უარი თქვა.

გასულ სეზონში გლდანელებმა არაერთი უსიამოვნება გადაიტანეს. "ვიტ ჯორჯიასთან" პირველი წრის ბოლო მატჩის კლუბის ხელმძღვანელობამ არაობიექტური მსაჯობის მოტივით შეწყვიტა, ზამთრის შესვენებისას კი "ამერს" გარკვეული ფინანსური პრობლემები შეექმნა, რის გამოც გუნდი უცხოურ შეკრებაზე ველარ გაემგზავრა. წავიდნენ ნახევარდაცვის წამყვანი ფიგურები დავით ბოლქვაძე და გიზო ჯელაძე, "ამერს" ხარვეზები ფაქტობრივად, ყველა რგოლში ჰქონდა.

იმედია, თასის ორგზის მფლობელი მომავალ სეზონს პრობლემების გარეშე შეხვდება და ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური და მზარდი კლუბი განვითარებას განაგრძობს.

## საუკეთესო მატჩი

"ამერი" მეორე წრეში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, სეზონის მეორე ნახევარში კი ყველაზე შთამბეჭდავად გუნდმა ყველაზე კარგად "ოლიმპთან", "მგლებსა" და "ვიტ ჯორჯიასთან" ითამაშა. პირველი წრის საუკეთესო მატჩი გლდანელებმა "მერანთან" ჩაატარეს, როცა მეტოქეს შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს.




## ყველაზე ცუდი მატჩი

პირველ წრეში "ამერმა" ყველა პრინციპული მატჩი დათმო, რის შემდეგაც ჩემპიონატში წარმატების ყოველგვარი შანსი დაკარგა. გიორგი ჩიხრაძის გუნდს მხოლოდ ლიდერებთან არ წაუგია. ასე მაგალითად, ტრადიციულად უხერხულ "ბორჯომთან" "ამერი" 0:3 განადგურდა.

## საკადრო პოლიტიკა

ბოლქვაძისა და ჯელაძის წასვლამ გუნდს დაღი დაასვა, ახალწვეულებმა კი გუნდს ბევრი ვერაფერი შემატეს. რამდენიმე დღის წინათ "ამერი" მისმა საუკეთესო ბომბარდირმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** დატოვა, რომელმაც ჩეხურ "პლზენს" მიაშურა. ჯერჯერობით, სხვა წამსვლელებისა და ახალწვეულების ვინაობა უცნობია.

## რჩეული

იმის მიუხედავად, რომ უფრო ხშირად შეცვლებზე თამაშობდა, "ამერიდან" მაინც ტატანაშვილი უნდა გამოვარჩიოთ. მან გასულ სეზონში არაერთი გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ეფექტური იყო თასის ფინალშიც, სადაც ასევე შეცვლაზე შევიდა და შეხვედრის მინურულს ერთი ბურთი გაქვითა. გუნდის შეტევების მთავარი ორგანიზატორი კი **გიორგი დეკანოსიძე** იყო.

## ფინანსური მდგომარეობა

სადღეისო ინფორმაციით, კლუბს ფინანსური პრობლემები არ აწუხებს, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომავალის სეზონისთვის "ამერი" ნორმალურ პირობებში უნდა მოემზადოს.

## მიზნები

თუკი მომავალ სეზონს კარგად მომზადებული შეხვდება, "ამერი" კვლავ იბრძოლებს ქართული ტიტულებისთვის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### I ტური
ს ლოკომოტივი 1:2
გოლი: ტატანაშვილი

### II ტური
შ დილა 3:2
გოლები: ტატანაშვილი, დავითაშვილი, ჩიკვილაძე

### III ტური
ს ოლიმპი 0:1

### IV ტური
შ სიონი 2:0
გოლები: დოლიძე, ა. ალავიძე

### V ტური
ს ბორჯომი 0:3

### VI ტური
შ მერანი 7:0
გოლები: რ. გოცირიძე (2), დოლიძე, დობროვოლსკი, დავითაშვილი, ტატანაშვილი, ჯელაძე

### VII ტური
ს სპარტაკი 1:0
გოლი: ტატანაშვილი

### VIII ტური
შ დინამო 0:2

### IX ტური
ს ბათუმი 3:0
გოლები: დოლიძე, რ. გოცირიძე, ტატანაშვილი

### X ტური
ს მგლები 1:0
გოლი: დავითნიძე

### XI ტური
ს მესხეთი 2:1
გოლები: დავითნიძე, ბოლქვაძე

### XII ტური
შ ზესტაფონი 1:2
გოლი: დავითნიძე

### XIII ტური
შ ვიტ ჯორჯია 0:3
*(ტექნიკური, 0:1-ზე შეწყდა)*

### XIV ტური
შ ლოკომოტივი 1:1
გოლი: დეკანოსიძე

### XV ტური
ს დილა 2:0
გოლები: ტატანაშვილი, კაკაშვილი

### XVI ტური
შ ოლიმპი 2:1
გოლები: ტატანაშვილი, შალამბერიძე

### XVII ტური
ს სიონი 0:0

### XVIII ტური
შ ბორჯომი 3:2
გოლები: რ. გოცირიძე, ჩიმაკაძე, ქარქოზაშვილი (ავტოგოლი)

### XIX ტური
ს მერანი 5:1
გოლები: ტატანაშვილი (2), რ. გოცირიძე, დიდავა, დეკანოსიძე

### XX ტური
შ [illegible] 2:0
გოლები: რ. გოცირიძე, დობროვოლსკი

### XXI ტური
[illegible]
გოლი: დიდავა

### XXII ტური
[illegible]
გოლები: რ. გოცირიძე (2), კაკაშვილი, ტატანაშვილი

### XXIII ტური
შ მგლები 5:0
გოლები: ტატანაშვილი (2), რ. გოცირიძე, დობროვოლსკი, ელბაქიძე

### XXIV ტური
ს ვიტ ჯორჯია 1:0
გოლი: ტატანაშვილი

### XXV ტური
შ მესხეთი 0:0

### XXVI ტური
ს ზესტაფონი 1:3
გოლი: რ. გოცირიძე

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარტო წვრთნა რას უშველის

**D ჯგუფი**

**ესპანეთი-რუსეთი 4:1**

10 ივნისი. ინსბრუკი

**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილია, ინიესტა (62. კასორლა), სენა, ჩავი, სილვა (76. ჩაბი ალონსო), ვილია, ტორესი (53. ფაბრეგასი).

**რუსეთი:** აკინფეევი, ჟირკოვი, კოლოდინი, შიროკოვი, ანიუკოვი, ბელიალეტდინოვი, ზირიანოვი, სემშოვი (56. ტორბინსკი), სიჩოვი (47. ბისტროვი), პავლიუჩენკო.

**გოლები:** 1:0 ვილია (20), 2:0 ვილია (44), 3:0 ვილია (74), 3:1 პავლიუჩენკო (86), 4:1 ფაბრეგასი (90)

**მაყურებელი:** 33 000

**მსაჯი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 0 | გაფრთხილება | 0 |
| 19 (12) | დარტყმა | 17 (5) |
| 22 | ჯარიმა | 19 |
| 5 | კუთხური | 6 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |



მატჩის გმირი დავიდ ვილია

**"დავიდ ვილია, ასტურიის პრინცი, კაცი, რომელმაც ესპანეთს დიდი ოცნება აჩუქა"**, - ასე დაიწყო "დიარიო მარკამ" რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებების მატის მიმოხილვა. გასაკვირი სულაც არ არის, რომ ჟურნალისტები "ვალენსიის" ფორვარდის თამაშით უაღრესად აღფრთოვანებულები არიან. "სელექსიონი" ბოლო ამხანაგურ შეხვედრებში ნაჩვენები უსახური ფეხბურთის გამო ევროპის ჩემპიონატზე სერიოზული ეჭვებითა და პრობლემებით ჩავიდა. პირენეელები არ მალავდნენ, რომ **გუუს ჰიდინკის** გამოცდილება აშინებდათ. მოკლედ, მათ სადებიუტო შეხვედრაში ქულების დაკარგვის შიში ბოლო მომენტამდე ვერ დაძლიეს. ამის გათვალისწინებით, ვილიას დამსახურება კიდევ უფრო დასაფასებელია. გაირკვა, რომ **ლუის არაგონესი** არა მარტო საკუთარ გულშემატკივრებს, არამედ მთელ მსოფლიოს ატყუებდა. 9 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე სენიორ ლუისმა განაცხადა, დავიდის თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულიაო. კიდევ კარგი, ჟურნალისტებს სანდო წყაროებიდან უტყუარი ინფორმაცია ჰქონდათ მოპოვებული და იცოდნენ, რომ არაგონესი ვილიას ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ ამზადებდა. ვალენსიელი მან **ფერნანდო ტორესს** შეუწყვილა. ამ ტანდემმა გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. მართალია, "ელ ნინიოს" არ გაუტანია, მაგრამ ძალიან აქტიურად თამაშობდა და რუს მცველებს მოსვენებას არ აძლევდა. საგულისხმოა, რომ ვილიამ ანგარიში სწორედ "ლივერპულის" ფორვარდის ფანტასტიკური დრიბლინგისა და არაჩვეულებრივი პასის წყალობით გახსნა.

დიდი ანგარიშით გამარჯვების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ ესპანეთის ნაკრებმა იდეალური ფეხბურთი აჩვენა. "სელექსიონს" ყველაზე სერიოზული პრობლემები დაცვაში ჰქონდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, **კარლეს პუიოლსა და კარლოს მარჩენას** საერთო ენის გამონახვა გაუჭირდათ. შედეგად, რუსმა ფორვარდებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. პირენეელთა გამოცდილი მცველები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას ხშირად ცდებოდნენ. არაგონესს ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ბევრი მუშაობა მართებს.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შეხვედრა რუსეთის ნაკრების უპირატესობით დაიწყო. ჰიდინკის შეგირდები ბურთს მშვენივრად აკონტროლებდნენ და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ. ერთხელ კასილიასმა იყოჩაღა, ერთხელ კი **სემშოვმა** ვერ ივარგა. ამასობაში, მოვლენათა ეპიცენტრიში ტორესი მოექცა. "ელ ნინიომ" მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ეფექტური დრიბლინგების შესრულება მხოლოდ **კრისტიანო რონალდოს** საქმე არ არის. ესპანელმა ფორვარდმა საჯარიმოში იოლად შეაღწია და ცარიელი კარის წინ მდგომ ვილიას პასი არ დაუგვიანა. დავიდს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. პირველი ტაიმის მიწურულს **ანდრეს ინიესტამ** ძალიან ლამაზი ეპიზოდი შემოგვთავაზა. ბარსელონელმა ვილია მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. დავიდმა შანსი ხელიდან ისევ არ გაუშვა. მესამე გოლი ვალენსიელმა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა. მოგვიანებით, რუსებმა **პავლიუჩენკოს** თავურით ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ სტატუს-კვო მალე აღდგა. საგოლე იერიშს ისევ და ისევ დავიდ ვილიამ ჩაუყარა საფუძველი. შეტევა შეცვლაზე შესულმა **სესკ ფაბრეგასმა** ეფექტური თავური დარტყმით დააგვირგვინა. მცირე რეზიუმეს სახით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის ნაკრებმა რუსეთის ეროვნული გუნდი პირწმინდად დაჩაგრა. ფეხბურთში გაუცნობიერებელი ადამიანიც კი მიხვდებოდა, რომ ერთ მხარეს ნიჭიერი მოთამაშეების ნაკრები იყო, მეორე მხარეს კი დიდი მწვრთნელის უნიჭო შეგირდები იდგნენ. რუსების თამაშში იმპროვიზაცია საერთოდ არ იყო, ისინი ჰოლანდიელის მიერ ნასწავლი ილეთებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ხომ გაგიგიათ, "თუ ბუნებამ არ გიშველა, მარტო წვრთნით ვერას გახდებიო". მით უმეტეს, ესპანეთის ნაკრებთან.

### მატჩის შემდეგ

**ლუის არაგონესი** (ესპანეთი): *"დღევანდელი გამარჯვება ერთი მარტივი გარემოების ხარჯზე მოვიპოვეთ. ჩვენ ბევრად უფრო ტექნიკური გუნდი ვართ და ბურთს მშვენივრად ვაკონტროლებდით. მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნამდე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მივდიოდით. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ აბსოლუტურ უპირატესობას ვფლობდით. ჩვენი გამარჯვება ეჭვქვეშ ერთხელაც არ დამდგარა. მერწმუნეთ, რუსეთის ნაკრების კარში ოთხი გოლის გატანა იოლი არ არის. ბედნიერი ვარ, რომ მოწინააღმდეგე წელში გავტეხეთ და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. მოგეხსენებათ, პირველი შეხვედრის მოგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მით უმეტეს ასეთი სხვაობით. დიდი ანგარიშით გამარჯვებამ განწყობა გაგვიუმჯობესა. მომდევნო შეხვედრებისთვის ახლა უფრო დიდი შემართებით მოვემზადებით".*

**გუუს ჰიდინკი** (რუსეთი): *"ყველაფერი ჩვენი ბრალია. მიუტევებელი შეცდომები დავუშვით და სასტიკად დავისაჯეთ. ჩემი აზრით, შედეგი თამაშის ხარისხს არ შეესაბამებოდა. ჩვენ საკმაოდ ახალგაზრდა გუნდი გვყავს და გამოცდილება დაგვაკლდა. დიდი დარტყმის მიუხედავად, ბრძოლას არ შევწყვეტთ. მომდევნო შეხვედრებისთვის მოვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ფლეი ოფში გავიდეთ".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

# იბრამ მშრალი სერია დაასრულა

**C ჯგუფი**

**საბერძნეთი-შვედეთი 0:2**

10 ივნისი. ზალცბურგი

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, ანცასი, დელასი (70. ამანატიდისი), ტოროსიდისი, ბასინასი, კაცურანისი, კარაგუნისი, ხარისტეასი, გეკასი (46. სამარასი).

**შვედეთი:** ისაკსონი, ალექსანდერსონი (74. სტოორი), მელბერგი, ჰანსონი, ნილსონი, ვილჰელმსონი (78. როზენბერგი), სვენსონი, ლიუნგბერგი, ანდერსონი, იბრაჰიმოვიჩი (71. ელმანდერი), ჰ. ლარსონი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (67), 0:2 ჰანსონი (73)

**მაყურებელი:** 30 000

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 3 | გაფრთხილება | 0 |
| 6 (0) | დარტყმა | 10 (5) |
| 11 | ჯარიმა | 15 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** უჩვეულოდ ხანგრძლივი მშრალი სერია ზლაპრული გოლით დაასრულა. შვედებმა ევროპის ჩემპიონებს მწარე მარცხი აგემეს. იბრაჰიმოვიჩს ნაკრების შემადგენლობაში 14 უგოლო მატჩი ჰქონდა ჩატარებული. მისი უკანასკნელი სანაკრებო გოლი 2005 წლის 12 ოქტომბრით თარიღდებოდა (ისლანდიასთან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი). ზლატანმა ნავსი გატეხა. მას ვეტერანმა მცველმა **ჰანსონმა** აუბა მხარი, იმ ჰანსონმა, რომელმაც ცოტა ხნით ადრე კინაღამ ავტოგოლი გაიფორმა.

თამაში შვედებმა დაიწყეს. **ხარისტეასი** ჰანსონს ეუხეშა და პირველსავე წუთზე ყვითელი ბარათი აუფრიალეს (უსწრაფესი გაფრთხილება ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში). ცოტა ხანში, ხარისტეასი მეტოქის ორ მცველს გასცდა და დაბალ კუთხეში დასცხო. მეკარე **ისაკსონი** ბურთს მშვიდად დაეუფლა.

საბერძნეთმა მატჩი მისთვის ჩვეულ სტილში წარმართა. ბევრი ევროპელი მიმომხილველი ბერძნების თამაშს ანტი-ფეხბურთს უწოდებს. **ოტო რეჰაგელმა** სამი ცენტრალური მცველი გამოიყვანა. ევროპის ჩემპიონები ბურთს უმეტესად თავიანთ ნახევარზე აგორებდნენ და მეტოქის გახსნას ელოდნენ. შვედეთს რომ არაფერი ელონა, ბერძნების შემხედვარე მაყურებელს, იქნებ, ჩასძინებოდა კიდეც. შვედი გულშემატკივარი მეტოქეს ასეთი უხეირო თამაშისთვის სტვენით იკლებდა...

ბერძნები კი ბურთის გორებას განაგრძობდნენ. თუ შვედებს თამაშში გარდატეხის შეტანა სურდათ, უფრო მეტი უნდა ემოძრავათ. ეს კი ადვილი არ იყო იმ გუნდისთვის, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე მობერებული (საშუალო ასაკი 29 წელი და 85 დღეა) შემადგენლობა ჰყავს. სხვათა შორის, ინგლისელმა მიმომხილველებმა გვაუწყეს, რომ ევროს პირველ ტურში ყველაზე ხნიერი გუნდი იტალიამ გამოიყვანა, თუმც სრული შემადგენლობის (23 ფეხბურთელი) გათვალისწინებით, შვედეთი უფრო ხანდაზმულია.

ვითარება მინდორზე ევრო 2004-ს ემსგავსებოდა. ოთხი წლის წინანდელი ჩემპიონატი მოულოდნელი შედეგით იმიტომ დასრულდა, რომ არ აღმოჩნდა არც ერთი გუნდი, რომელიც ბერძნების დაცვის გატეხვას შეძლებდა. პირველი ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, არც შვედეთი უნდა ყოფილიყო გამონაკლისი...

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე შვედებმა სახიფათოდ შეუტიეს. **ვილჰელმსონმა ნიკოპოლიდისს** (რომელსაც ამ შეხვედრამდე 345-წუთიანი მშრალი სერია ჰქონდა) ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ კარსაც გადააცილა. იქვე, **სეიტარიდისი ლიუნგბერგის** მოცელვისთვის გააფრთხილეს. ბერძნები ანტი-ფეხბურთს აგრძელებდნენ. ზლატანმა ტრიბუნების გამოცოცხლება გადაწყვიტა და 35 მეტრიდან გამეტებით დაარტყა. ბურთი ბერძენ მცველს მოხვდა და კუთხურზე გავიდა. მერე, ჰანსონმა შვედებს ძარღვებში სისხლი გაუყინა. **დელასის** ჩაწოდებულს მან უხეიროდ დაჰკრა თავი და ბედად, შორეულ ძელს სანტიმეტრებით ააცილა. ბერძნებს რომ ანგარიში გაეხსნათ, ანტიფეხბურთი მერე გენახათ...

ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში იბრაჰიმოვიჩმა გაიბრწყინა და გოლიც გამოაცხო. ეს კი ასე მოხდა: ზლატანმა ბურთი **ლარსონს** გაუგორა, 36 წლის ვეტერანი კარისაკენ ზურგით იდგა და ბერძენი მცველი ეჭიდავებოდა. მან ბურთი ერთი შეხებით დაუბრუნა თანაგუნდელს, იბრამ კი ფეხი ამოჰკრა და შორეულ "ცხრიანში" ლამაზად ჩასვა. იშვიათი გოლი იყო...

გოლიდან ორიოდ წუთში ზლატანი ოვაციებით შეცვალეს. გავიდა კიდევ სამი წუთი და შვედეთმა მეორე გოლიც გაიტანა. იერიში ლიუნგბერგმა წამოიწყო. მისი შეტევა მოიგერიეს, მაგრამ შვედებმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააბრუნეს. ბერძნების კარის ხაზზე ქაოტური ვითარება შეიქმნა. ჰანსონს ორი მცველი აუხტა, მაგრამ ბურთი ვერავინ მოიგერია. საბოლოოდ, ვეტერანმა მუხლი მიჰკრა და ბურთი კარში აღმოჩნდა. ამ გოლმა თამაში, ფაქტობრივად, დაასრულა.

დარჩენილ დროში საყურადღებო მხოლოდ ის მოხდა, რომ ვილჰელმსონმა ბარძაყის კუნთი იტკინა და შესაცვლელი შეიქნა. წინასწარი ვარაუდით, ფეხბურთელმა ევროპის ჩემპიონატზე, შეიძლება, ველარ ითამაშოს.

### მატჩის შემდეგ

**ოტო რეჰაგელი** (საბერძნეთი): *"ორ ეპიზოდში საბედისწერო შეცდომა დავუშვით. შვედებმა დიდი ზეწოლის ქვეშ მოგვაქციეს. ჩვენ კი მეტოქის შევიწროება ვერ შევძელით. გადამწყვეტ მომენტებში საბრძოლო სულისკვეთება არ აღმოგვაჩნდა. რუსეთთან მატჩში თავი უკეთ უნდა წარმოვაჩინოთ. სხვა გამოსავალი არა გვაქვს".*

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი): *"ძნელი თამაში გამოვიდა, მაგრამ გავიმარჯვეთ. ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია. ბედნიერი ვარ. ჩემპიონატის უკეთ დაწყებას ვერც ვინატრებდით. მეტოქემ სამი ცენტრალური მცველით ითამაშა. მათი დაცვის გარღვევა ადვილი არ იყო".*

**შალვა ბიბილაშვილი**

**II ტური**

14 ივნისი, შაბათი

**ინსბრუკი**

შვედეთი-ესპანეთი 20:00

**ზალცბურგი**

საბერძნეთი-რუსეთი 22:45

# EURO 2008

# თერიმი პატიოსანი თამაშის იმედად

## მიმომხილველები გაუთავებლად იხსენებენ 2005 წლის შემოდგომის სკანდალს

**A ჯგუფი**

**შვეიცარია-თურქეთი**

11 ივნისი. ბაზელი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შვეიცარია:** ბენალიო, ლიხტშტაინერი, მიულერი, სენდეროსი, მანინი, ბეჰრამი, ინლერი, ჟელსონი, ბარნეტა, ჰაკან იაკინი, შტრელერი.

**თურქეთი:** დემირელი, ჰამით ალთინთოფი, ჩეთინი, ემრე ასიქი, ბალთა, კაზიმ რიჩარდსი, ემრე, აურელიო, ერდინგი, თუნჯაი, ნიჰათი.

**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ამ გუნდების მატჩისას ყველას 2005 წლის შემოდგომა ახსენდება. შვეიცარია და თურქეთი გერმანიის მუნდიალის პლეი ოფში შეხვდნენ ერთმანეთს. ბერნში გამართული პირველი შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:0. განმეორებით მატჩში, სტამბოლში, თურქებმა 4:2 მოიგეს. სტუმრად გატანილი გოლების წყალობით, მსოფლიოს ჩემპიონატზე შვეიცარია გავიდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რაც თამაშის შემდეგ, გვირაბში მოხდა. მეტოქე გუნდები ერთმანეთს დაერივნენ და გაუგონარი აყალ-მაყალი მოაწყვეს. ჩხუბისას შვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველი **სტეფან გრიხტინგი** ისე დაშავდა, რომ საავადმყოფოში მოათავსეს.

უეფამ ინციდენტის გამოძიება საგანგებო კომისიას დაავალა. გამოძიება რამდენიმე თვეს გაგრძელდა. საბოლოოდ, უეფამ ექვსმატჩიანი სასჯელები ჩამოურიგა თურქებს - **ალფაი ოზალანსა** და **ემრე ბელოზოღლუს**, აგრეთვე შვეიცარიელ **ბენიამინ ჰუგელს**. მოგვიანებით, ემრესა და ჰუგელის სასჯელები ოთხ მატჩამდე შემცირდა. უმკაცრესად დაისაჯა თურქეთის ნაკრები. მას მომდევნო სამი ოფიციალური მატჩის ჩატარება ნეიტრალურ მოედანზე, ცარიელი ტრიბუნების წინაშე დააკისრეს.

შვეიცარიის პოლიციამ მიიჩნია, რომ ბაზელში, თურქი გულშემატკივრების სიმრავლის გამო, ეს თამაში დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ძირითადი ძალების კონცენტრაცია ამ ქალაქში მოახდინა. უეფამ განაცხადა, რომ შვეიცარიისა და თურქეთის მატჩზე უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება ზედმეტად მიაჩნია. ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს ორივე მხარის კეთილგონიერების იმედი აქვს. ამიტომ გართულებებს არ ელოდება.

შვეიცარიული და თურქული პრესა დღევანდელ თამაშზე უფრო მეტ ყურადღებას სამი წლის წინანდელ ამბებს უთმობს. ნაკრებების მიერ გამართულ პრესკონფერენციებზეც ძირითადი განსახილველი თემა სტამბოლური ინციდენტია. მწვრთნელები და ფეხბურთელები ცდილობენ, მაშინდელ ამბებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარ მიანიჭონ, მაგრამ არ გამოსდით. შვეიცარიელმა ნახევარმცველმა **ტრანკუილიო ბარნეტამ** გულწრფელად განაცხადა, ძნელია, დაივიწყო ის, რაც მაშინ მოხდა, მაგრამ სულ იმ ამბებზე ფიქრიც არაფერს გვარგებსო: *"დღევანდელ და მაშინდელ სიტუაციებს შორის მხოლოდ ის მსგავსებაა, რომ ჩვენცა და თურქებსაც აუცილებლად გვჭირდება გამარჯვება."*

ბარნეტა მართალია. პირველ ტურში ორივე გუნდმა წააგო. კიდევ ერთი მარცხი ევროპის ჩემპიონატიდან გავარდნის ტოლფასი იქნება. ტურნირის გახსნის მატჩში შვეიცარია ჩეხეთთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდა, თურქეთმა კი პორტუგალიისგან ორი უპასუხო გოლი მიიღო. ამიტომაც, პირველი ტურის შემდეგ, **ფათიჰ თერიმის** გუნდს ცხრილში უკანასკნელი ადგილი უკავია.

თერიმმა პრესკონფერენცია 2005 წლის ნოემბრის გახსენებით დაიწყო: *"დარწმუნებული ვარ, ჩვენცა და მეტოქეც ფეარ ფლეის პრინციპების დაცვით ვიმოქმედებთ - მინდორზეც და მის გარეთაც."* თერიმს პრობლემები აქვს დაცვის ცენტრში. **გოხან ზანი** დაშავებულია. მას **ემრე ასიქი** შეცვლის. **სერვეთ ჩეთინი** მუხლს იტკიებს და მისი ასპარეზობა საეჭვოა.

შვეიცარიელებს კაპიტანი **ალექსანდერ ფრაი** ვერ დაეხმარება. ჩეხებთან მატჩისას მიღებული მუხლის ტრავმის გამო ის ფეხბურთს ექვსი კვირით გამოეთხოვა. მის ადგილს შემტევი ნახევარმცველი **ჰაკან იაკინი** დაიკავებს. საზარდული აწუხებს შვეიცარიელთა კიდევ ერთ თავდამსხმელ მარკო შტრელერს, მაგრამ ის მაინც ითამაშებს.

საინტერესო სტატისტიკა: შვეიცარიას ევროპის ჩემპიონატებზე სარეკორდო, შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს. **კობი კუნის** გუნდი შეეცდება, არ გაიზიაროს ბელგიის ბედი, რომელმაც 2000 წელს ჯგუფური ტურნირი ვერ გადალახა და ჯერჯერობით, ევროპის ჩემპიონატების ერთადერთი მასპინძელია, რომელიც პლეი ოფების შემოღების შემდეგ ჯგუფში ჩარჩა.

კონტინენტის პირველობაზე შთამბეჭდავი შედეგებით ვერც თურქეთი დაიკვეხნის. გუნდმა ევროპის ჩემპიონატებზე რვა თამაში ჩაატარა და მხოლოდ ერთი მოიგო - 2000 წელს ბელგიასთან (2:0). იმ სალამოს **ჰაქან შუქურმა** დუბლი მიითვალა. თურქებს შუქურის გოლის მერე, ევროპის ჩემპიონატზე გოლი აღარ გაუტანიათ.



ფათიჰ თერიმი და კაპიტანი ემრე ბელოზოღლუ

# ვინ გავა მეოთხედფინალში?

**A ჯგუფი**

**ჩეხეთი-პორტუგალია**

11 ივნისი. ჟენევა. 20:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, უიფალუსი, როზენალი, იანკულოვსკი, იაროლიმი, გალაშეკი, პოლაკი, სიონკო, პლაშილი (ან ბაროში), კოლერი.

**პორტუგალია:** რიკარდო, ბოსინგვა, პეპე, რიკარდო კარვალიო, პაულუ ფერეირა, პეტიტი, დეკუ, ჟოაო მოუტინიო, კრისტიანო რონალდო, სიმაო, ნუნუ გომეში.

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

დღეს ჩეხეთმა ან პორტუგალიამ, შეიძლება, პლეი ოფის საგზური გაინაღდოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რომელიმე მათგანი მორიგ სამ ქულას მიამატებს აქტივს. პირველ ტურში პორტუგალიამ დამაჯერებლად მოუგო თურქეთს, 2:0. შვეიცარიასთან ჩეხეთის გამარჯვებას დამაჯერებელი არ ეთქმოდა, მაგრამ სამი ქულა სამი ქულაა. **კარელ ბრიუკნერი** იმედოვნებს, რომ მომდევნო შეხვედრებში მისი შეგირდები თამაშის ხარისხსაც გამოასწორებენ.

*"ჩვენ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ. ჩვენი ამოცანაა, მეოთხედფინალის საგზური რაც შეიძლება, მალე გავინაღდოთ,"* - თქვა გუშინ **დეკუ სოუზამ**. თუ ჩეხებს პროგრესის მიღწევა სურთ, მოედნის ცენტრში უკეთ თამაში მართებთ. პორტუგალიას ამ პოზიციაზე დეკუ და **ჟოაო მოუტინიო** ჰყავს. *"მოუტინიოსთან თამაში ძალიან მომეწონა. ის ყოველ დღე უმატებს. ჩვენ ერთმანეთის ადვილად გვესმოდა,"* - ესეც დეკუს სიტყვებია. 21 წლის მოუტინიომ გასულ უქმეებზე მე-14 სანაკრებო მატჩი ჩაატარა.

ჩეხეთმა პორტუგალიას მხოლოდ ერთხელ, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მოუგო, 1:0 (გოლი **კარელ პობორსკიმ** შეაგდო). საბერძნეთთან მარცხი რომ არა, ეს გუნდები ოთხი წლის წინანდელ ფინალშიც ითამაშებდნენ. 2006 წლის მუნდიალზე პორტუგალიამ ნახევარფინალში გააღწია, ჩეხეთმა ჯგუფის პირველი შეხვედრა შთამბეჭდავად ჩაატარა (ამერიკასთან 3:0), მაგრამ მომდევნო ორი წააგო და პლეი ოფს მიღმა დარჩა. ბრიუკნერს არ სურს, ორი წლის წინანდელი ფიასკო განმეორდეს.

პორტუგალიელი ჟურნალისტები მეტოქის ყველაზე ძლიერ ფეხბურთელად მეკარე **პეტრ ჩეხს** მიიჩნევენ. მათი აზრით, ჩეხებს დაცვის ხაზიც საკმაოდ ძლიერი ჰყავთ. პორტუგალიას საკადრო პრობლემები არ გააჩნია. გუნდს სათადარიგო მეკარე **კუიმ სილვა** გამოაკლდა. პარასკევის ვარჯიშისას მან მაჯა მოიტეხა. მის ნაცვლად **ნუნუ ესპოზიტო** ჩამოვიდა. ასე რომ, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** განკარგულებაში ისევ 23 ფეხბურთელია.

ბრიუკნერსაც ყველა მოთამაშე ჯანმრთელად ჰყავს. ვეტერანი მწვრთნელი ნახევარმცველებისაგან უკეთეს თამაშს ელოდება: *"პირველ მატჩში კოლერამდე ბურთის მიტანა გაგვიჭირდა. ამიტომაც მას თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცა. მართალია, გუნდმა გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებული შემადგენლობა შეიძლება მაინც შევცვალო."*

ჩეხი ჟურნალისტების აზრით, **დავიდ იაროლიმის** ადგილს ფლეიმეიქერის პოზიციაზე **მარეკ მატეიოვსკი** დაიკავებს. შესაძლოა, ჩეხებმა ორი თავდამსხმელი გამოიყვანონ. შვეიცარიასთან შთამბეჭდავად გაისარჯა შეცვლაზე შესული **ვაცლავ სვერკოში**, რომელმაც გამარჯვების გოლი შეაგდო. ძირითადში მოხვედრის კანდიდატია მილან ბაროშიც. მან შეიძლება ნახევარმცველ **იაროსლავ პლაშილის** ადგილი დაიკავოს. პორტუგალიელთა ცენტრალური მცველების - **პეპესა** და **რიკარდო კარვალიოსთან**, ათლეტური აღნაგობის კოლერს უფრო მეტი შანსი ექნება, თუ, რა თქმა უნდა, თანაგუნდელები მას პასებით მოამარაგებენ.



პორტუგალია, შეიძლება, ფრემაც დააკმაყოფილოს

საინტერესო სტატისტიკა: ევროპის ჩემპიონატებზე პორტუგალიელთა სასარგებლოდ არასოდეს დანიშნულა პენალტი. **ნუნუ გომეშმა ფერნანდო კოუტუსა** და **მანუელ რუი კოშტას** მიღწევა გაიმეორა და მესამე ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. თუ გაიტანს, **იურგენ კლინსმანისა** და **ვლადიმირ შმიცერის** მიღწევასაც გაიმეორებს. ამ ფეხბურთელებს კონტინენტის სამ პირველობაზე გაუტანიათ. ამავე სიაში მოხვედრა შეუძლიათ **ტიერი ანრისა** და **ჰენრიკ ლარსონს**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

# EURO 2008

ევროული ბიბლიოთეკა

ევროს მიღმა

## გომესი და გლები ბაიერნში?

რამდენიმე დღის წინათ, გერმანულმა გამოცემებმა მიუნხენის "ბაიერნის" ქომაგებისთვის ორი მეტად სასიხარულო ინფორმაცია გაავრცელეს. "მიუნხენერ თაგესცაითუნგი" წერდა, რომ რეკორდმაისტერი "არსენალის" ნახევარმცველ **ალექსანდერ გლებითა** და "შტუტგარტის" ფორვარდ **მარიო გომესით** დაინტერესდა. მეტსაც გეტყვით: ხსენებული გამოცემა ამტკიცებდა, რომ ბავარიელებმა ორივე მოთამაშე უკვე დაიბევეს და კონტრაქტებს ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გაუფორმებენ. "თაგესცაითუნგის" შემდეგ, გლების მიუნხენურ კლუბში ტრანსფერზე "ბილდმაც" დაწერა. შეგახსენებთ, რომ "არსენალში" გადასვლამდე, ბელორუსი ნახევარმცველი 2000-დან 2005 წლამდე ბუნდესლიგაში თამაშობდა და "შტუტგარტის" ღირსებას იცავდა. 27 წლის გლებს ლონდონურ კლუბთან ხელშეკრულება 2010 წლამდე აკავშირებს და მისი ფასი დაახლოებით 20 მილიონი ევროა.

არანაკლები ღირს გომესიც, რომელმაც ბოლო ორ წელიწადში გერმანიაში არნახული პოპულარობა მოიპოვა. გასულ სეზონში სუპერმარიოდ წოდებულმა თავდამსხმელმა შვაბური კლუბის რიგებში 25 მატჩში 19 გოლი გაიტანა და ევრო 2008-ზე გერმანიის ნაკრების ძირითადი თავდამსხმელი და ერთ-ერთი იმედია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, 22 წლის გომესმა "ბაიერნთან" უკვე გააფორმა წინასწარი კონტრაქტი და თუ კონტინენტის პირველობის დასრულების შემდეგ კლუბის გამოცვლას მოისურვებს, მხოლოდ "ბაიერნში" გადავა.

"ბაიერნის" ხელმძღვანელებიდან, ამ ინფორმაციის შესახებ კომენტარის გაკეთება არავინ ისურვა. გლებს და გომესს ერთი მრჩეველი ჰყავთ - **ული ფერბერი**, რომელმაც ტრანსფერები არც უარყო და არც დაადასტურა. "შტუტგარტის" გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** კი, "ველტთან" საუბრისას აღნიშნა, რომ გომესს "შტუტგარტთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული. *"რას აღარ ამბობენ. დღეს იტყვიან, "ბაიერნიო", ხვალ "იუვენტუსში" გაუშვებენ, ზეგ "ბარსელონაში". ეს სპეკულაციებია,"* - აღნიშნა ჰელდტმა.

გუშინ, "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში 27 წლის გლებმა ზემოთ ხსენებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. *"ასეთი ცნობები უკვე ნერვებს მიშლის. ეს სპეკულაციებია და არ დაიჯეროთ,"* - განუცხადა გლებმა გერმანულ გამოცემას და იქვე დასძინა, - *"მოლაპარაკებებს არც "ბაიერნთან" ვაწარმოებ და არც "ბარსელონასთან". მით უმეტეს არ გამიფორმებია წინასწარი კონტაქტი. ახლა მხოლოდ მშვიდად ყოფნა მსურს. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ამაზე ჩემი მრჩეველი ნიკი სპილევსკი ზრუნავს, რომელსაც 100 პროცენტით ვენდობი."*

აქვე გეტყვით, რომ **მიხაელ ჰენკე**, რომელიც "ბაიერნში" წლების მანძილზე **ოტმარ ჰიტცფელდის** ასისტენტი გახლდათ, მიუნხენიდან არ მიდის. ჰენკე **იურგენ კლინსმანის** შტაბშიც იმუშავებს, ოღონდ არა ასისტენტად, არამედ ის შეფ-ანალიტიკოსი და ფეხბურთელებზე დაკვირვების განყოფილების უფროსი იქნება. *"მიხაელი ამ პოსტისთვის შეუდარებელია. მას უდიდესი გამოცდილება და ცოდნა აქვს და რაც მთავარია, "ბაიერნს" შესანიშნავად იცნობს. ჩვენ ჰენკე გვჭირდება,"* - ეს სიტყვები კლინსმანს ეკუთვნის.

**გოტფრიდ ლენცი**



ალექსანდრ გლები

ინტერვიუ ლუკას პოდოლსკისთან

## გოლების დროს შვილზე ვფიქრობდი

### საფინალო სასტვენის შემდეგ ცრემლები მომაწვა... იმიტომ, რომ პოლონელი ვარ!

**გერმანელმა გულშემატკივრებმა ლუკას პოდოლსკის "პრინცი პოლდის" ახალი მეტსახელი მოუგონეს: "კლაგენფურტის მეფე". 23 წლის თავდამსხმელმა გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის პირველი თამაში მოაგებინა - პოდოლსკიმ პოლონეთს დუბლი შეუსრულა (2:0) და საერთოდ, ის თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მატჩის შემდეგ ბუნდესგუნდის ნახევარდაცვაში გადაწეულ თავდამსხმელს "ბილდის" ჟურნალისტი გაესაუბრა.**



**- ჰერ პოდოლსკი, ტრიუმფალური მატჩის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?**

- ბედნიერი და დაღლილი ვარ. მატჩის შემდეგ, დილის ათ საათამდე გაუნძრევლად მეძინა.

**- ამაყი ხართ?**

- რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზე შესრულებული დუბლით რომელი ფეხბურთელი არ იამაყებს? ძალიან მნიშვნელოვანი გოლები გავიტანე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე 2006 წლის მუნდიალის მერვედფინალში, შვედებთან.

**- მიუხედავად ამისა, არცერთი გოლის დროს არ გიზეიმიათ...**

- ასე მხოლოდ და მხოლოდ პატივისცემის მიზნით მოვიქეცი. მე ხომ ნახევრად პოლონელი ვარ. ზაფხულში, თავისუფალ დროს პოლონეთში 2-3 კვირას ვატარებ, ჩემს ოჯახთან ერთად ვარ ხოლმე. ასე რომ, პოლონელების კარში გატანილ გოლების შემდეგ მუშტების ქნევას არ და ვერ დავიწყებდი. ვფიქრობ, ამაში გაუგებარი არაფერია.

**- ტელევიზორში ისე ჩანდა, რომ თითქოს ტიროდით კიდეც...**

- ვერ ვიტყვი, რომ ვტიროდი, ეს გადაჭარბებული იქნება. შეიძლება ითქვას, რომ ცრემლები მომაწვა, რადგან ჩემთვის ორივე მომენტი ძალიან ემოციური იყო.

**- გოლის გატანის დროს გახსოვდათ, რომ პოლონელი ხართ?**

- არა და ამაზე არც მიფიქრია. გადამწყვეტი დარტყმების დროს ორივე შემთხვევაში ჩემს შვილზე, 2 თვის ლუისზე ვფიქრობდი. თამაშის დროს თითქმის სულ მასზე და ჩემს მონიკაზე ვფიქრობ.

**- დუბლის მონიკას და ლუისს მიუძღვენით?**

- მეუღლესა და შვილს გოლებს კი არა, ყველაფერს ვუძღვნი, მთელს ჩემს ცხოვრებას. სასტუმროს ოთახში, მონიკას და ლუისის ფოტოები საწოლთან მიდევს - ძილის წინაც მათ ვუყურებ და მათთან ერთად ვილვიძებ.

**- მეუღლე? თქვენ რა, ჩუმად დაქორწინდით, ისე, რომ ეს ვერავინ გაიგო?**

- არა, არ დავქორწინებულვართ. უბრალოდ, ასე ვამბობ ხოლმე.

**- ქორწილი მალე იქნება?**

- ჯერჯერობით ამ თემაზე არ ვსაუბრობთ და არ ვფიქრობთ. თანაც, ჩემი აზრით, ეს არც არის აუცილებელი. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და მნიშვნელობა არა აქვს, ვართ თუ არა დაქორწინებულები. მოვა დრო და ამასაც გავაკეთებთ.

**- მონიკას საოჯახო საქმეში თუ ეხმარებით ხოლმე?**

- როცა ამის დრო მაქვს, ყოველთვის ვეხმარები.

**- შვილს ლუისი დაარქვით. ამ სახელის შერჩევა რაიმე განსაკუთრებული მიზეზით ხომ არ მოხდა?**

- თავიდან სახელების წიგნში ჩავიხედეთ და შვილისთვის სახელს ვარჩევდით. მაგრამ ეს წიგნი ძალიან მალე დავხურეთ, რადგან მაგალითად, ა ასოზე ძალიან ბევრი სახელი იყო და ყველაფრის წაკითხვას დიდი დრო დასჭირდებოდა. მერე უბრალოდ დავფიქრდით და ლუისი გადავწყვიტეთ. ეს სახელი ორივეს ძალიან მოგვწონს.

**- მამის რანგში თავს როგორ გრძნობთ?**

- მე მგონი, კარგი მამა ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით (იცინის). უდიდესი სიამოვნებაა ის, რომ როცა ვარჯიშის შემდეგ დაღლილი სახლში ბრუნდები, იქ საყვარელი ადამიანი და საკუთარი შვილი გელოდებიან. როცა ლაპარაკს დაიწყებს, უფრო საყვარელი იქნება. იქნებ, ფეხბურთელი გამოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მინდა, რომ ფეხბურთი ითამაშოს.

**- ბოლო დროს 23 წლის ბიჭს აღარ ჰგავხართ. გაზრდილი ჩანხართ, დაბრძენებული. ამაში კიდევ ერთხელ იმ ფაქტმაც დაგვარწმუნა, რომ პოლონეთის კარში გატანილი გოლები არ იზეიმეთ. "მხიარული ლუკასი" უკვე წარსულია?**

- ხუმრობის ხასიათზე ყოველთვის ვარ და დარწმუნებული იყავით, რომ ცხოვრების ბოლომდე ასეთი ვიქნები. იმაში კი გეთანხმებით, რომ გავიზარდე.

**- რა იქნება ევროპის ჩემპიონატის შემდეგ? ცნობილია, რომ "ბაიერნიდან" წასვლა გინდათ.**

- ახლა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ და კერძოდ, მხოლოდ მომდევნო მატჩზე ხორვატიასთან, რომელიც გერმანიის ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება "ბაიერნს" - თუკი დავინახავ, რომ იურგენ კლინსმანის ხელში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი მექნება, თუკი ნდობას ვიგრძნობ, აუცილებლად დავფიქრდები, წავიდე თუ არა. ფეხბურთელი იმიტომ კი არ გავხდი, რომ სათადარიგოთა სკამი ვხეხო...

**- პოლონეთის ნაკრებს რას უსურვებთ?**

- იმედი მაქვს, რომ პოლონეთის ნაკრებს ევროპის ამ ჩემპიონატზე კიდევ შევხვდებით. უფრო მარტივად რომ ვთქვა, ძალიან მინდა, რომ ჯგუფიდან პოლონელებიც გავიდნენ და მერე ნახევარფინალში შეგვხვდნენ.

**- რომ მერე კიდევ გაუტანოთ 2 გოლი, არა?**

- რა თქმა უნდა (იცინის). ეს ფეხბურთია და მე ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძვი. გერმანიას დიდი მიზანი აქვს - ჩვენ ევროპის ჩემპიონობაზე ვოცნებობთ.

**გოტფრიდ ლენცი**

### პოდოლსკი და პოლონეთი

*"ეს რა ქენი, ლუკას?! ეს როგორ გაგვიკეთე?"* - აი, ასეთი სათაური ჰქონდა ორშაბათს პოლონურ გამოცემა "გაზეტას". პოლონელებს გერმანიასთან განცდილი მარცხის გადატანა ორმაგად გაუჭირდათ, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ორივე გოლის ავტორი პოლონელი **ლუკას პოდოლსკი** გახლდათ.

პოლდი რომ წარმოშობით პოლონელია, ეს აუცილებლად გეცოდინებოდათ, მაგრამ საინტერესოა, "რამდენად პოლონელია" პოდოლსკი დღეს, მას მერე, რაც გერმანიაში გაიზარდა. ფაქტი ის არის, რომ ლუკას პოლონურ მუსიკას უსმენს, პოლონურ გაზეთებს კითხულობს და რაც მთავარია, მშობლებთან და მეგობრებთან პოლონურად ლაპარაკობს.

ლუკასი გლაივიცში დაიბადა, დაბაში, სადაც 200 000 ადამიანი ცხოვრობს. აქ მან ცხოვრების პირველი ორი წელი გაატარა. მის სახლში ახლა **დანუტა კონტკივიჩი** ცხოვრობს, 49 წლის ქალი, რომელიც სტომატოლოგია და რომელიც პოდოლსკის დედის, კრისტინას უახლოესი მეგობარი გახლავთ. დანუტა ამბობს, ლუკასი ჩემს ხელშია გაზრდილიო.

წელიწადში სამჯერ ლუკასი 77 წლის ბებიას ესტუმრება ხოლმე, რომელიც სოსნიცაში ცხოვრობს. პოლდი ბებიას საშინაო საქმეში ეხმარება. ბებია სოფიას მისაღებ ოთახში შვილიშვილის სამი მაისური უკიდია. სოფია პოლონეთში უკვე ცნობილი პიროვნებაა - გუშინწინ ერთ-ერთი პოლონური ტელეარხის სტუმარი გახლდათ.

ბოლო ოთხი წელია, ლუკასი 22 წლის კოსმეტოლოგ **მონიკა პუხალსკიზეა** შეყვარებული, რომელიც ასევე პოლონეთშია დაბადებული. მაგრამ ლუკასს გერმანიის მოქალაქეობა აქვს. ისევე, როგორც მის შვილს, ლუისს. ასე რომ, თუ ლუისიც ფეხბურთელი გახდება, ისიც გერმანიის ნაკრებში ითამაშებს.

ევროს მიღმა

## ფარფანი შალკეში მიდის!

"შალკემ" მაღალი კლასის ფეხბურთელი შეიძინა. გუშინ გაირკვა, რომ **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდმა "ეინდჰოვენის" პერუელი თავდამსხმელი **ჯეფერსონ ფარფანი** გადაიბირა, რომელიც 23 წლის გახლავთ და რომლის ფასი 10 მილიონი ევროა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფარფანი "შალკეს" არსებობის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია.

*"დიდხანს არ მიფიქრია, რადგან მინდა, რომ უფრო მაღალი დონის ლიგაში ვითამაშო - ბუნდესლიგა აშკარად ჰოლანდიის ჩემპიონატზე მაღალი რანგისაა,"* - განუცხადა ფარფანმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ის გელზენკირხენულ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ "ხუმარები" რუმინელ **ადრიან მუტუს** აღარ იყიდიან. აღსანიშნავია, რომ "შალკეს" ხელმძღვანელებს ფარფანის გადაბირება ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ სურდათ, მაგრამ მაშინ ბოლომდე ვერ გარისკეს. ახლა კი, 1.75 მეტრი სიმაღლის ქარივით სწრაფი ფარფანი უკვე შალკელია. ჯეფერსონს "შალკეში" რამდენიმე დღეში წარადგენენ.

"ეინდჰოვენი" "შალკეს" თავიდან 14 მილიონ ევროს სთხოვდა. მაგრამ გელზენკირხენელებმა იმდენი ივაჭრეს, რომ ჰოლანდიური კლუბის შეფებს 4 მილიონი დაათმობინეს. ახლა ფარფანი "შალკეს" ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია. აქამდე ეს "ტიტული" **ემილ მპენზას** ჰქონდა, რომლის სანაცვლოდ, "ხუმარებმა" თავის დროზე 8.5 მილიონი გადაიხადეს. მპენზას შემდეგ **კრისტიან პოულსენი** მოდის, რომელიც გელზენკირხენელებმა თავის დროზე 7.7 მილიონად შეიძინეს.

ფარფანი მარცხენა თავდამსხმელია, მაგრამ წინა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. "ეინდჰოვენის" რიგებში მას 115 თამაშში 52 გოლი აქვს გატანილი. "შალკეს" ახალი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** ფარფანს ძალიან კარგად იცნობს, რადგან ის თავის დროზე "ეინდჰოვენში" მთავარი მწვრთნელის, **გუუს ჰიდინკის** ასისტენტად მუშაობდა.

*"მეპატიჟებოდნენ ინგლისში (ტოტენჰემი), "ფიორენტინაში" და ერთი რუსული კლუბიც მიხმობდა. "ეინდჰოვენის" რიგებში ოთხჯერ გავხდი ჰოლანდიის ჩემპიონი და ახლა ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი იწყება,"* - ამბობს ფარფანი.

გელზენკირხენელები ახლა აქცენტს **ორლანდო ენგელაარზე** გადაიტანენ, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიის ღირსებაც იცავს. რუტენისთვის 28 წლის ენგელაარის ყიდვა აბსოლუტური პრიორიტეტია. 1.96 მეტრი სიმაღლის ენგელაარს რუტენი კაპიტნის სამკლაურის მორგებას უპირებს. ჯერ ფარფანი, მერე ენგელაარი? "შალკე" სერიოზულად ძლიერდება!

**გოტფრიდ ლენცი**




ჯეფერსონ ფარფანი

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთი

## ჟურავსკიმ ევროპა დაასრულა?

**მაციეჟ ჟურავსკიმ** ევროპის ჩემპიონატზე, შეიძლება, ველარ ითამაშოს. ეს ინფორმაცია პოლონეთის ნაკრების პრესსამსახურმა გაავრცელა. პოლონელთა კაპიტანი გერმანიასთან საკვირაო მატჩისას დაშავდა. მან ბარძაყის კუნთი დაიზიანა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჟურავსკის ჯგუფური ტურნირის დარჩენილი ორივე შეხვედრა გაუცდება. მისი ერთადერთი იმედი პოლონეთის ნაკრების პლეი ოფში გასვლაა.

31 წლის თავდამსხმელი მესამე ფეხბურთელია, რომელიც პოლონელებს ტრავმის გამო ბოლო ორ კვირაში გამოაკლდათ. ვარჯიშებისას დაშავდნენ ნახევარმცველი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** და სათადარიგო მეკარე **ტომაშ კუშჩაკი**. გერმანელებთან მატჩისას მსუბუქი ტრავმა მიიღო საყრდენმა ნახევარმცველმა **მარიუშ დევანდოვსკიმაც**, მაგრამ მას ხუთშაბათს, ავსტრიასთან გადამწყვეტი მატჩის გამოტოვება არ ემუქრება. ამ შეხვედრას ვენა უმასპინძლებს.

ავსტრიელებთან მატჩში ჟურავსკის ადგილს **როჟერ გერეირო** დაიკავებს. პოლონელთა თავკაცმა **ლეო ბეენჰაკერმა** სხვა შესაძლო საკადრო გადაადგილებების თაობაზე საუბარი არ ისურვა. მან ისარგებლა შემთხვევით და შეგირდები გერმანიასთან ნაჩვენები თამაშისთვის კიდევ ერთხელ შეაქო. იქვე, ვეტერანმა ჰოლანდიელმა იმედი გამოთქვა, რომ მისი გუნდი მეოთხედფინალის საგზურს აუცილებლად მოიპოვებს. პოლონეთი ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს ხორვატთა წინააღმდეგ ორშაბათს, 16 ივნისს კლაგენფურტში ჩაატარებს.



მაცეი ჟურავსკი

ხორვატია

## მოდრიჩი მსუბუქად დაშავდა

### ბილიჩი გერმანიასთან ერთ თავდამსხმელს დააყენებს

ხორვატთა წამყვანმა ნახევარმცველმა **ლუკა მოდრიჩმა** ორშაბათის ვარჯიში გამოტოვა. ავსტრიასთან საკვირაო მატჩისას მას ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. ექიმების განხადებით, საშიში არაფერია. დღეს მოდრიჩი მსუბუქად ივარჯიშებს. გერმანიასთან მეორე ტურის მატჩისთვის ის მწყობრში იქნება. ხორვატია გერმანიას ხუთშაბათს, კლაგენფურტში შეხვდება. მიმომხილველთა ვარაუდით, ეს მატჩი ჯგუფში პირველი და მეორე ადგილოსნის ვინაობას გადაწყვეტს.

მოდრიჩმა ავსტრიასთან გოლი პენალტით შეაგდო. 22 წლის ნახევარმცველი მეორე ტაიმისას, მეტოქესთან შეჯახებისას დაშავდა. ლუკას არყოფნაში, გუშინ, სლავენ ბილიჩმა გუნდი ორად გაჰყო და ერთმანეთში ათამაშა. ვარჯიში ღია გახლდათ. მას დაახლოებით 1 000 ხორვატი გულშემატკივარი დაესწრო. ვარჯიშებზე ფანების სიმრავლით ვერავინ შეედრება პორტუგალიის ნაკრებს. "ქსამაქსის" სტადიონზე მის ყოველ წვრთნას 12 ათასი ფანი ადევნებს თვალს. პორტუგალიელები ვარჯიშებზე დასასწრებ ბილეთებს ყიდიან და დამატებითი შემოსავლის წყარო გაიჩინეს.

დავუბრუნდეთ ხორვატიას. ბილიჩი გერმანელებთან მატჩში ტაქტიკის შეცვლას აპირებს. მან ავსტრიელებთან 4-4-2 სქემა გამოიყენა. უფრო მრისხანე მეტოქესთან ერთი თავდამსხმელის გამოყვანას აპირებს. ხორვატების სქემა შეიძლება 4-3-2-1 იყოს. თუ ასე მოხდება, შეტევაში **ივან რაკიტიჩი** ითამაშებს. ბილიჩმა აღნიშნა, რომ პირველ შეხვედრაში მოდრიჩისგან უფრო მეტს ელოდა, მაგრამ მას კვლავ ძირითად შემადგენლობაში დააყენებს.



ლუკა მოდრიჩი

ჰოლანდია-იტალიის შემდეგ

## უეფამ დაადასტურა: ვან ნისტელროის გოლი ლეგიტიმური იყო

### იტალიელ მსაჯთა შეფიც აღნიშნავს, რომ ჰოლანდიელთა გოლი წესების გათვალისწინებით ჩაითვალა

**ახლა, ეს მასალა რომ იწერება, D ჯგუფის მატჩები დაწყებული არ არის და, შესაბამისად, ჯერაც ჰოლანდია-იტალიის დაუვიწყარ სპექტაკლს ვუტრიალებთ. ევროპამ ნიდერლანდების ნაკრები აღმოაჩინა. რა თქმა უნდა, ჰოლანდია ტრადიციული გრანდია და "აღმოჩენა", შეიძლება, ზუსტი განსაზღვრება არც იყოს, მაგრამ ტოტალური პრაგმატიზმის ეპოქაში, როცა მთავარია, არ წააგო თამაში, მარკო ვან ბასტენის შეგირდთა მრავალმხრივი, შინაარსიანი და შემტევი თამაში ევროპის ჩემპიონატის სტარტზევე მოვლენად იქცა...**

### დონადონის შეცდომები

ერთი მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ იტალიამ მეტოქეს ბევრი რამ ლანგარზე მიართვა. ვგულისხმობთ შეცდომებს, როგორც შემადგენლობის კომპლექტაციის მხრივ, ისე უშუალოდ მატჩის მსვლელობისას. მაგრამ მეორე მხრივ, შეცდომის გამოყენებასაც რომ შნო უნდა, არც ეს უნდა იყოს საკამათო. ამდენად, "სკუადრა აძურას" ულიმლამო თამაში "ტიტების" შთამბეჭდავ გარჯას ოდნავადაც არ აკნინებს.

რაც შეეხება შეცდომებს. მაგალითად, იტალიელი მიმომხილველები **რობერტო დონადონის** უხეშ შეცდომად მიიჩნევენ **მარკო მატერაცის** დაყენებას. "ინტერის" მცველს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი გახდა, ცუდი სეზონი ჰქონდა. ეს ძირითადად ტრავმების გამო იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. დონადონიმ ძალიან გარისკა, როცა დაცვის ცენტრში, ესოდენ საპასუხისმგებლო პოსტზე, სათამაშო პრაქტიკას მოკლებული მატერაცი გაამწესა. სხვათა შორის, მატჩის წინა დღეებში "დონმა" თავადაც არა ერთხელ აღნიშნა, რომ "მატრიქსი" სასურველი ფორმისგან შორს იყო...

ან გნებავთ, ავიღოთ **კრისტიან პანუჩი**, რომელიც ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე დაშავდა და საეჭვო იყო, ითამაშებდა თუ არა ჰოლანდიასთან. აკი თქვა კიდეც დონადონიმ, ასეთ დროს რისკის გაწევა არ ღირსო. მაგრამ პანუჩიცა და მატერაციც ძირითად შემადგენლობაში ვიხილეთ და დაცვაში დაშვებული შეცდომები (გავითვალისწინოთ **ფაბიო კანავაროს** არყოფნაც, მაგრამ ეს მაინც არ იყო გადამწყვეტი) დიდწილად ამის ბრალიც გახლდათ. დონადონის გადაწყვეტილებას ერთადერთი ახსნა აქვს: სასტარტო შეხვედრაში, რომელიც ყოველთვის სპეციფიურია, მან აქცენტი გამოცდილებაზე გააკეთა, სამაგიეროდ, ვერ გათვალა ვერცხლისწყალივით მოძრავ ჰოლანდიელთა ფაქტორი. საინტერესოა, რომ წვრთნის პროცესშიც, ორმხრივი თამაშების დროს, დაცვის წყობა მიუთითებდა, რომ ცენტრში **ანდრეა ბარძალისა** და **ჯორჯო კიელინის** უნდა ეთამაშათ, მარჯვნივ **ჯანლუკა ძამბროტას**, ხოლო მარცხნივ **ფაბიო გროსოს**. ძამბროტა მარჯვნით გადავიდა მხოლოდ მეორე ნახევარში, როცა დონადონიმ გროსო გამოიყვანა, მაგრამ ამით ეფექტი ვერ მიიღო. რაც შეეხება კიელინის, "იუვენტუსში" ის თავიდან მარცხენა მცველი იყო, მაგრამ მერე **კლაუდიო რანიერიმ** ცენტრში გადაწია და კმაყოფილიც დარჩა.

გადავიდეთ ნახევარდაცვაზე. დონადონიმ აქაც მოულოდნელი არჩევანი გააკეთა. სამი მილანელი, ზურგსუკან მძიმე და წარუმატებელი სეზონით, და პლუს ამას, ლამის საპენსიო ასაკით, ნამეტანი იყო. მატჩამდე, მიმომხილველები ერთხმად და დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ შუა ხაზში **დანიელე დე როსის** უნდა ეთამაშა, მაგრამ აქაც მოტყუვდნენ. როგორც ჩანს, "სკუადრა აძურას" მწვრთნელმა ჩათვალა, რომ მილანური ტრიო - **ჯენარო გატუზოს, მასიმო ამბროზინისა** და **ანდრეა პირლოს** სახით, ერთმანეთს უკეთ გაუგებდა. საბოლოოდ, ჰოლანდიამ სწორედ ნახევარდაცვაში ეფექტური თამაშითა და სწრაფი გადაადგილებებით მიაღწია საწადელს.

თავდასხმას რაც შეეხება, აქ თითქოს არჩევანი სწორი იყო: **ანტონიო დი ნატალე** და **ლუკა ტონი**. მაგრამ მარტებული იქნებოდა, **ალესანდრო დელ პიერო** და **ანტონიო კასანო** დონადონის მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე გამოეყვანაო, წერს "გაძეტა დელო სპორტის" მიმომხილველი.



ვან ნისტელროის გოლი

და მეკარე. ალბათ, **ჯანლუიჯი ბუფონს** ყველაზე ნაკლებად უნდა დავდოთ ბრალი "აძურას" მარცხში, მაგრამ გავიხსენოთ, რომ **უესლი სნეიდერის** გოლი მან ახლო კუთხეში გაუშვა. ბუფონი აღიარებს შეცდომას, მაგრამ ამაზე თანაგუნდელებსაც მიუთითებს. ამას გარდა, თანაგუნდელების სახელით მან ტიფოზებს ბოდიშიც მოუხადა:

*"ეს მარცხი კარგი გაკვეთილია და იმედი მაქვს, ერთგვარად შემობრუნების წერტილად იქცევა. თქვენ ნახეთ იტალიის ნაკრების ყველაზე ცუდი მატჩი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში, რაც მე "სკუადრა აძურაში" ვარ, მსგავსი სამარცხვინო თამაში არ ჩაგვიტარებია. ვესაუბრე ჩემს თანაგუნდელებს და ყველა იმ აზრზეა, რომ ტიფოზებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ. ნამდვილად არ გვეგონა, რომ ასე მოხდებოდა... დიახ, ვან ნისტელროი თამაშგარეში იყო, მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვამართლებს. ჰოლანდიამ ყველა რგოლში გვაჯობა და დამსახურებულადაც მოგვიგო. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დავმშვიდდეთ, შეცდომები ცივი გონებით გავაანალიზოთ და რუმინეთთან მატჩისთვის მოვემზადოთ".*

ძამბროტა ეხმაურება იტალიურ მედიაში გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს მარცხი დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია: *"როცა აგებ, ყველაზე ადვილი ისაა, წაგება ვინმეს გადააბრალო. მე არ ვფიქრობ, რომ ჰოლანდიასთან მატჩში განცდილი ფიასკო მხოლოდ უკანახაზელთა ბრალი იყო. პასუხისმგებლობა ყველა რგოლმა თანაბრად უნდა გაინაწილოს".*

გამოჩნდა ფეხბურთელიც, რომელმაც დონადონის არჩევანი დაუწუნა. ეს მისია საკუთარ თავზე პირლომ აიღო: *"ჩემპიონატი საშინლად დავიწყეთ. ფაქტია, ასე აღარ უნდა ვითამაშოთ. ნახევარდაცვაში დე როსი რომ ყოფილიყო, მე უფრო წინ წავიდოდი და გუნდსაც მეტ სარგებელს მოვუტანდი. მაგრამ შემადგენლობაში 23 ფეხბურთელია და არჩევანს მწვრთნელი აკეთებს. პირველ ტაიმში ყველაზე მეტი დარტყმა ფლანგებიდან მივიღეთ. მეორე ნახევარში ძამბროტა მარჯვნივ გადავიდა, ხოლო შეცვლაზე შემოსული გროსო "თავის" ფლანგზე, მარცხნივ დადგა. ვფიქრობ, ეს ცვლილება ცოტა დაგვიანებული იყო. უმჯობესი იქნებოდა, მეორე გოლისთანავე ამ განლაგებით გვეთამაშა".*

### არიგო საკი: იტალიის ნაკრები, ეს იყო ფერარი საწვავის გარეშე

რა თქმა უნდა, კომენტარი არ დაიზარა იტალიური ფეხბურთის გურუმ **არიგო საკიმ**, რომელმაც "სკუადრა აძურა" გააკრიტიკა: *"ჰოლანდიასთან მატჩში იტალიის ნაკრები მაგონებდა "ფერარის", რომელსაც საწვავი არ აქვს. საერთოდ, ოპტიმიზმი და ხალისი არასოდეს ყოფილან ჩვენი მოკავშირეები. იტალია შედეგებს იღებდა მხოლოდ კრიტიკისა და სკანდალების საშუალებით. აქედან დასკვნა, რომ გარე ფაქტორები ხშირად გვაძლევს რაღაც უფრო მეტს, ვიდრე წმინდა საფეხბურთო მომენტები".*

ორი თვალსაჩინო მაგალითი: 1982 წელს იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო დაუნდობელ ჟურნალისტებთან ცივი ომის პირობებში, როცა "სკუადრა აძურას" არც ერთი მოთამაშე, მწვრთნელ **ენცო ბეარძოტის** ბრძანებით, ჩემპიონატის მსვლელობისას მედიას არ ეკონტაქტებოდა. 2006 წელს კი **მარჩელო ლიპის** ნაკრებმა მუნდიალზე "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ გაიმარჯვა. ალბათ, ეს იგულისხმა სინიორ საკიმ. სხვათა შორის, იტალიისა და ჰოლანდიის გუშინწინდელი დაპირისპირება, მისი ყოფილი შეგირდების, დონადონისა და ვან ბასტენის უშუალო შერკინებაც იყო.

აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ საკის ერთი ძველი წინასწარმეტყველება: *"ჩემი ფეხბურთელებიდან, მხოლოდ ვან ბასტენი მაძლევს იმედს, რომ დიდი მწვრთნელი დადგება".*

დონადონიზე კი არაფერი უთქვამს...

### არის თუ არა საკამათო გოლი საკამათო?

ჰოლანდია-იტალიის მატჩის ყველაზე საკამათო მომენტი **რუუდ ვან ნისტელროის** გოლი იყო. მოკლედ შეგახსენებთ სიტუაციას:

**26-ე წუთი. დირკ კუიტის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, ჯანლუიჯი ბუფონი და კრისტიან პანუჩი ერთად გაემართნენ შორეული ძელისკენ მფრინავი ბურთის მოსაგერიებლად. მეკარე და მცველი ერთმანეთს შეეჯახნენ, პანუჩი პირით ხაზს იქით აღმოჩნდა, ჯიჯიმ კი მოახერხა ბურთის მოგერიება, მაგრამ პირდაპირ უესლი სნეიდერისკენ, რომლის დარტყმულსაც ვან ნისტელროიმ მიმართულება შეუცვალა და ანგარიში გაიხსნა.**

# EURO 2008

ევროპული ბიბლიოთეკა




საქმე ისაა, რომ ჯერ დარტყმის და მერე რიკოშეტის მომენტშიც ჰოლანდიელი ფორვარდი თითქმის ორი მეტრით წინ იყო ბოლო იტალიელ მცველზე. ბუნებრივია, ეს შემთხვევა აშკარა თამაშგარე მდგომარეობაა. მაგრამ ამ დროს, პანუჩი პირით ხაზს იქით რჩებოდა და სწორედ ამან შექმნა გაუგებრობა. ანუ, ისმის კითხვა - ითვლება თუ არა ასეთ დროს მოთამაშე მოედანზე მყოფად, თუ ჩვეულებრივ, თამაშიდან გასულია და არბიტრი (ან ლაინსმენი) მას სათვალავში არ იღებს.

ერთმა ქართველმა, ავტორიტეტულმა არბიტრმა (როგორც დღევანდელ ნომერში ვწერთ, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო, მან კატეგორიულად გვთხოვა, მისი ვინაობა არ გაგვემხილა და ამ თხოვნას დღესაც ვუსრულებთ), რომელსაც მატჩის დასრულებისთანავე დავუკავშირდით და საკამათო ეპიზოდზე კომენტარი ვთხოვეთ, განგვიმარტა, რომ შვედ რეფერის გოლი არ უნდა ჩაეთვალა. წესების თანახმადო, გვეუბნება მკითხველისთვის ინკოგნიტო არბიტრი, ფეხბურთელი, რომელიც სათამაშო ეპიზოდის შედეგად აღმოჩნდება ხაზს იქით (პანუჩის შემთხვევა სწორედ ასეთია), თამაშში მყოფად აღარ ითვლება. საფუძველი არ გვქონდა, საერთაშორისო რანგის ქართველი არბიტრისთვის არ დაგვეჯერებინა. ამიტომ, თქვენმა მონა-მორჩილმა, მატჩის მიმოხილვაში, **პიტერ ფროიდფელდტი** და მისი ასისტენტი მკაცრად გააკიცხა, ჩემპიონატიდან მათი მოხსნის "მოთხოვნის" ჩათვლით...

მაგრამ დღეს მათ ბოდიში უნდა მოვუხადო, რადგან პირიქით ყოფილა. აგერ, გუშინ სპეციალური განცხადება გააკეთა უეფას გენერალურმა მდივანმა **დევიდ ტეილორმა** და თვალსაჩინოებისთვის საფეხბურთო წესებიდან (პუნქტი 11) ამონარიდიც მოიყვანა. შოტლანდიელი ჩინოსანი აცხადებს, რომ არბიტრს გოლი ყოველ მიზეზგარეშე უნდა ჩაეთვალა, რადგან ახალი წესების თანახმად, პანუჩი "მოედანზე იყო", რაც იმას ნიშნავს, რომ ვან ნისტელროი თამაშგარეში ვერ იქნებოდა.

*"დიახ, გოლი ჩაითვალა და არბიტრი სწორადაც მოიქცა. სხვათა შორის, უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრმა, ვინც ფეხბურთშია დასაქმებული, მათ შორის მოთამაშეებმაც კი, ამ წესისა და მისი ინტერპრეტაციის თაობაზე არაფერი იციან. ამიტომაც გამოიწვია ეპიზოდმა ამდენი კამათი,"* - გვიხსნის მისტერ ტეილორი.

რაც შეეხება ინტერპრეტაციას, სწორედ ეს გახლავთ პოლემიკის წყარო, რადგან გასარკვევია, პანუჩი ტრავმის გამო დარჩა მოედანს მიღმა, თუ შეგნებულად. ძნელი დასაჯერებელია, რომ მან წამის მეათედებში შენიშნა კარის წინ მარტო მდგომი ვან ნისტელროი, არ დაბრუნდა მოედანზე და ფორვარდი "თამაშგარეში დატოვა". სწორედ ამაზე თქვა ტეილორმა, ფეხბურთელებმა ეს წესი არ იციანო...

კიდევ ერთი განმარტება, რომელსაც ავსტრიის მსაჯთა ასოციაციის თავმჯდომარე და უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრი **გერჰარდ კაპლი** აკეთებს: *"ფეხბურთელი, რომელიც თუნდაც ტრავმის გამო, ხაზს იქით აღმოჩნდა, ითვლება, რომ აქტიურ მდგომარეობაშია და აქედან გამომდინარე, ვან ნისტელროის გოლი უნდა ჩათვლილიყო".*

ცხადია, "დაზარალებულ" მხარეს მსგავსი განცხადებები აღიზიანებს, მაგრამ აი, ნახეთ რას ამბობს იტალიის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი **ჩეზარე გუსონი**: *"უნდა ითქვას, რომ არბიტრიცა და ლაინსმენიც 100 პროცენტით მართლები არიან, რადგან სწორად გაითვალისწინეს და დაიცვეს უეფას წესი. მათ პანუჩი შეაფასეს, როგორც თამაშში მყოფი ფეხბურთელი. გამოგიტყდებით და, თავიდან მეც თამაშგარე მეგონა, მაგრამ მომენტის გამეორებისას დავინახე, რომ პანუჩი, რომელიც ბუფონთან შეჯახების შემდეგ მოედანს მიღმა აღმოჩნდა, იქვე დარჩა. ასე რომ, გოლი სრულიად ლეგიტიმური იყო".*

აჰა, ესეც ასე. აქვე, სინიორ გუსონი, რომლის ვერდიქტი მის თანამემამულეებს ნამდვილად არ მოეწონებოდათ, ერთ საინტერესო შენიშვნასაც აკეთებს. საჭირბოროტო კითხვა: რატომ გახდა აუცილებელი ამ წესის შემოღება? თურმე, ამიტომ:

*"ამ წესის აზრი იმაშია, რომ თავიდან ავიცილოთ შემთხვევები, როცა ესა თუ ის ფეხბურთელი, მეტოქე მოთამაშის თამაშგარეში დასატოვებლად, ყალბი მიზეზით გადაწყვეტს მოედნის დატოვებას და ამით გარკვეულ უპირატესობას მოიპოვებს. ეს წესიც იმისთვისაა, რომ ასეთი ფეხბურთელები განვაიარაღოთ და მანიპულაციების სურვილი ძირშივე გავუქროთ. მიმაჩნია, რომ იტალიამ თამაში წააგო წმინდა სპორტული ასპექტების გამო. გარეშე ფაქტორების ზემოქმედება ნამდვილად არ ყოფილა,"* - ბრავო, სინიორ გუსონი!

**პაატა ბელაშვილი**

რუმინეთი

## მარიკა ჰოსპიტალში

საფრანგეთთან მოპოვებული ქულით გახარებული რუმინელები **ჩიპრიან მარიკას** ტრავმის გამო სწუხან. "შტუტგარტის" ფორვარდმა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ თავი ჰოსპიტალში ამოჰყო. შესაბამისად, იტალიის ნაკრების წინააღმდეგ მისი თამაში ფრიად საეჭვოა. ვარჯიშის დროს ის მეორე ფორვარდ **მარიუშ ნიკულაეს** შეასკდა. შესაძლოა, ფეხბურთელს ტვინის შერყევაც ჰქონდეს. ნაკრების პრესსამსახურის უფროსი განმარტავს:

*"მდგომარეობა რთულია. მარიკა ჰოსპიტალში მოვათავსეთ. უნდა დაველოდოთ და ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს გამოკვლევა და გამოჯანმრთელების პროცესი. სამწუხარო შემთხვევაა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი რამ ვარჯიშის დროსაც ხდება".*

შეჯახება მოხდა იმ დროს, რომ რუმინელები 5/5-ზე თამაშობდნენ. მარიკა იქვე, მოედნის გარეთ, 15 წუთის განმავლობაში იღებდა დახმარებას, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ ფეხბურთელი საავადმყოფოში გადაეყვანათ.

გუშინ, რუმინელებმა ღია ვარჯიში გამართეს. **ვიქტორ პიცურკამ** გულშემატკივრებსა და პრესას წვრთნის პროცესზე დასწრების საშუალება მისცა. რუმინული დელეგაციის წარმომადგენელმა ეს ასე ახსნა:

*"ღია ვარჯიშის იდეა თავად მწვრთნელისგან წამოვიდა. ამით, მან მადლობა გადაუხადა გულშემატკივარს, საფრანგეთთან შეხვედრის დროს მხურვალე მხარდაჭერისთვის. მათ გრძელი გზა გაიარეს და დახარჯეს ბევრი ფული, რათა აქ ნაკრების საქომაგოდ ჩამოსულიყვნენ. ისინი ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ ახლოს იყვნენ თავიანთ კერპებთან".*



რუმინელებმა ღია ვარჯიში გამართეს

გერმანია

## ლიოვი: ჰოლანდია ძლიერია, მაგრამ არც ისე...

ჰოლანდიის ნაკრების შესანიშნავ სტარტს ბუნდესგუნდის თავკაცი **იოახიმ ლიოვიც** გამოეხმაურა. სპეციალისტების აზრით, ჯერჯერობით, ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე შინაარსიანი თამაში გერმანიამ, ჰოლანდიამ და პორტუგალიამ აჩვენეს. ბევრი მათ დაპირისპირებას ფინალშიც ელოდება. თუმც ლიოვს ამაზე მსჯელობა ნაადრევად მიაჩნია და მართალიცაა. ჯერ ხომ მხოლოდ ერთი ტურია ნათამაშები.

*"ერთმნიშვნელოვნად, ჰოლანდიამ საუკეთესო ფეხბურთი ითამაშა. ტექნიკური და შემოქმედებითი თვალსაზრისით, მათ ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ, მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ისინი მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდნენ. მეორე ტაიმში უპირატესობა მთლიანად იტალიელთა ხელში იყო. პირველი გოლის შემდეგ "სკუადრა აძურას" ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდა და რომ გამოეყენებინა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. დიახ, ჰოლანდია ძლიერია, მაგრამ არც ისე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს"...*

რაც შეეხება პორტუგალიას. ლიოვისთვის მთავარია, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდთან მეოთხედფინალში დაპირისპირება აიცილოს თავიდან. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გერმანია და პორტუგალია თავიანთ ჯგუფებში გაიმარჯვებენ:

*"პორტუგალიამ კარგად ითამაშა, 2:0 დაამარცხა თურქეთი და ასეთივე ანგარიშით მოვიგეთ ჩვენც. მაგრამ ამ ეტაპზე გადაჭრით მსჯელობა არ შეიძლება. ჩვენც კარგად ვითამაშეთ, თუმც ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა და ახლა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ თამაში გავაუმჯობესოთ".*

მეორე ტურში გერმანია ხორვატიას ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში, მეოთხედფინალის საგზურს ვადაზე ადრე გაინაღდებს.



იოახიმ ლიოვი

ჰოლანდია-იტალიის შემდეგ. რა დაიწერა პრესაში

## მსოფლიო ჩემპიონი ჰოლანდია ყოფილა!

### ცისფერთა გუნდის შავი ღამე. მედიამ იტალიის ნაკრები გალახა

იტალიურმა მედიამ მართლაც რომ გალახა მსოფლიო ჩემპიონები მას მერე, რაც მათმა თანამემამულეებმა საშინლად ითამაშეს და ჰოლანდიასთან 0:3 დამარცხდნენ.

**"აუფ, რა დარტყმაა!"** - წაიკითხავდით მსხვილი შრიფტით გამოტანილ სათაურს "გაძეტა დელო სპორტის" პირველ გვერდზე. **"ჰოლანდიამ გაკვეთილი ჩაგვიტარა"** - ესეც ქვესათაური.

**"ჰოლანდიელებმა ეს დაიმსახურეს, რადგან ისე თამაშობდნენ, თითქოს მსოფლიო ჩემპიონები ჩვენ კი არა, ისინი არიან,"** - წერდა "გაძეტას" მესვეტე.

*"ეს დასასრულს ჰგავს, - განაგრძობს ის, - ჩვენ უნდა დავამარცხოთ რუმინეთი, შემდეგ საფრანგეთი, რათა ტურნირზე დავრჩეთ, მაგრამ ვის სჯერა ამის, ასეთი დაცემის შემდეგ"?*

სხვების მსგავსად, იტალიის ნაკრები გააკრიტიკა "ლა რეპუბლიკამაც", რომელმაც ყველაზე მეტი ყურადღება დაცვაში არსებულ ბზარებზე გაამახვილა. იქვე ნათქვამი იყო ისიც, რომ: *"უინიციატივო იტალიამ უპირატესობა ჰოლანდიას გადაულოცა".*

ერთ-ერთმა მისმა მესვეტემ კი იხუმრა კიდეც **რობერტო დონადონის** მწუხარე გამომეტყველებაზე: *"ალბათ, ჩვენი გუნდის მწვრთნელი დროს წინ უსწრებს და უსიამოვნო მომავალს ხედავს"!*

კიდევ ერთი ყოველდღიური გამოცემა "კორიერე დელა სერა" წერს, რომ იტალიამ უნდა ისწავლოს, იყოს უფრო ყურადღებიანი და თავმდაბალი.

*"სწორი არაა იმაზე ფიქრი, რომ მსოფლიო ჩემპიონობისთვის რაღაც იმუნიტეტის მსგავსი გაგვაჩნია. ასევე არასწორი იქნება იმის თქმაც, თითქოს უკვე ყველაფერი დასრულდა,"* - შედარებით ოპტიმისტია "კორიერე დელა სერას" მესვეტე.

*"ძალიან ბევრი მხრიდან შეიძლება ამ მატჩზე არგუმენტების მოყვანა. შეგვიძლია მოვიტყუოთ თავი იმაზე ფიქრით, რომ იღბალი გვაკლდა, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ჩვენ გუნდი არ გვყავდა. ბედიც გვწყალობდა და ცოტათი ცაშიც დავფრინავდით. ჰოლანდიასაც სწყალობდა ბედი, მაგრამ ის უფრო მეტად თავმდაბალი იყო და გუნდიც შეკავშირებული, ერთიანი ორგანიზმი გახლდათ,"* - ეს ამონარიდიც "კორიერედანაა".

### ბელისიმო, ორანჯ!

ჰოლანდიელი გულშემატკივრები და კომენტატორები კი საუცხოო სტარტს ზეიმობდნენ.

**"საოცნებო თამაში! ნამდვილი გმირები! მთელი ევროპის თვალწინ, ჰოლანდიურმა გუნდმა საუცხოო სტილში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი იტალია,"** - წერდა "დე ტელეგრააფი" ოდნავ სარკასტული სათაურით: **"ბელისიმო ორანჯ!"** ("ყოჩაღ, ნარინჯისფერო!")

ყოველდღიური "ფოლკსკრანტი" კი ეთანხმებოდა: *"ჰოლანდიურმა გუნდმა "სიკვდილის ჯგუფი" ფანტასტიკური თამაშით გახსნა. კიდევ ერთხელ, აღმატებულ ხარისხში გამოითქვა: "დიდოსტატური, შესანიშნავი!"*

16-მილიონიანი, ფეხბურთზე გადარეული მოსახლეობიდან, ნახევარზე ცოტა ნაკლები ადევნებდა თვალყურს ამ მატჩს, რომლის დასრულების შემდეგ ეროვნულ და ნარინჯისფერ მაისურებში გამოწყობილი მოზეიმე ფანები ქუჩებსა და ღამის ბარებს მოედვნენ.

**"ჰოლანდია საბოლოოდ დაუბრუნდა საერთაშორისო არენას,"** - წერდა ყოველდღიური "ალგემეენ დაგბლადი". *"ასე იგებენ ევროტიტულს... მშიერმა და ჰარმონიულმა ჰოლანდიელებმა მსოფლიო ჩემპიონებს ჭკუა ასწავლეს,"* - ამ გაზეთის სიტყვებია.

თვით არასპორტულმა გამოცემა "ჰეთ ფინანსიეელე დაგბლადმაც" კი პირველი გვერდი ამ თამაშს დაუთმო. **"არაჩვეულებრივი სტარტი"** - ვკითხულობთ "ჰედლაინში".

ყველა დანარჩენი გაზეთების მსგავსად, ყოველდღიურმა ბიზნესგაზეთმაც დაბეჭდა პირველ გვერდზე **რუუდ ვან ნისტელროის** გოლის ამსახველი ფოტო. იქვე, საუბარია ამ გოლის სამართლიანობაზეც:

**"მსაჯმა პეტერ ფროიდფელდტმა შესანიშნავი გადაწყვეტილება მიიღო,"** - მოახსენა "დე ტელეგრააფს" ჰოლანდიელმა არბიტრმა **რულოფ ლუნგემ**.

მიუხედავად განსხვავებული აზრისა, ჰოლანდიის მწვრთნელ **მარკო ვან ბასტენის** ტაქტიკაზე, გუნდი დიდმა **იოჰან კრუიფმაც** შეაქო.

*"რა თქმა უნდა, ვამაყობ ამგვარი შედეგით, თანაც მსოფლიო ჩემპიონების წინააღმდეგ,"* - განაცხადა მან ჰოლანდიურ ტელეარხთან ინტერვიუში და იქვე დაამატა, რომ ვან ბასტენის გუნდი არ ფიქრობდა საფრანგეთთან მომავალ თამაშზე.

*"თუ ამ სიტუაციას ბოლო მსოფლიო ჩემპიონატს შევადარებთ, ვნახავთ, რომ გუნდმა დიდი პროგრესი განიცადა. ისინი არ ჩანან გადაღლილები. ხალხს შეუძლია, იზეიმოს, ფეხბურთელებმა კი ყველაფერს ცივი გონებით უნდა შეხედონ. წინ კიდევ ორი მატჩია და მათ ეს უნდა ესმოდეთ".*

მოამზადა **დავით ჩუბინიძემ**

ბრძოლა ვარსკვლავისთვის

# აბრამოვიჩი, მორატი თუ ბერლუსკონი?

## ეტოოს გამო ევროპის უმდიდრესი და გავლენიანი ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან

**ჟოზე მოურინიო** სამუელ ეტოოს გადაბირებას ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდა, როცა "ჩელსის" ავარჯიშებდა. როგორც ჩანს, პორტუგალიელ სპეციალისტს "ბარსელონის" ფორვარდი ძალიან მოსწონს. ყოველ შემთხვევაში, ის კამერუნელს "ინტერშიც" ეპატიჟება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იტალიური კლუბის მესვეურებს ამ ტრანსფერის გასაჩარხად დიდი ბრძოლის გამართვა მოუწევთ. ეტოოს **რომან აბრამოვიჩიც** ეპატიჟება. მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსის" მეპატრონეს **ავრამ გრანტის** მემკვიდრე ჯერ არ დაუსახელებია, სამუელ ეტოო მაინც მისი გუნდის უპირველეს სამიზნედ გამოაცხადა. "არისტოკრატთა" ბოსი დარწმუნებულია, რომ კამერუნელთან მუშაობით ნებისმიერი მწვრთნელი ბედნიერი იქნება. აბრამოვიჩს ამ ტრანსფერის გაჩარხვა იმიტომაც ეჩქარება, რომ **დიდიე დროგბამ** "სტემფორდ ბრიჯის" დატოვება გადაწყვიტა. მოგეხსენებათ, კოტდიუარელს არაერთი გრანდი ეპატიჟება. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ დროგბამ კლუბის გამოცვლის გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, "ჩელსის" ეტოო მართლაც ჰაერივით სჭირდება. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, აბრამოვიჩი "ბარსელონას" 27 მილიონ ევროს სთავაზობს. ინგლისური გაზეთების მტკიცებით, ლონდონელები დროგბას 18 მილიონ ფუნტად გაასხვისებენ და ეს თანხა სამუელის შესაძენად სრულიად საკმარისი იქნება.

"ჩელსის" მფლობელის შესაძლებლობები მართლაც ამოუწურავია, მაგრამ ჯიბეზე ხელის გაკვრა, რა თქმა უნდა, **მასიმო მორატისაც** შეუძლია. იტალიელმა ნავთობმაგნატმა მთავარი მწვრთნელისგან ცხადი მესიჯი მიიღო, "ინტერს" ეტოო სჭირდება, ამიტომ კლუბის მფლობელმა სოლიდური თანხა უნდა გაიღოს. მორატიმ მოურინიოს საინტერესო წინადადებით მიმართა, ფული პრობლემა არ არის, იმდენს გადავიხდით რამდენიც საჭიროა, მთავარია, ეტოოსთან საერთო ენა გამოვნახოთო. "ნერაძურის" მეპატრონემ ახალ მწვრთნელს კამერუნელთან მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. სეუ ჟოზემ წინადადება დიდი სიამოვნებით მიიღო. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად როდის შეხვდებიან მოურინიო და ეტოო, მაგრამ ესპანური პრესის მტკიცებით, კამერუნელი მზადაა, იტალიური გრანდის დამრიგებელს ნებისმიერ დროს შეხვდეს და მისი შემოთავაზებები მოისმინოს. ეს შეხვედრა, ალბათ, ორ კვირაში გაიმართება. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს პორტუგალიელი სპეციალისტი "ბარსას" სუპერვარსკვლავს რაზე დაელაპარაკება. სეუ ჟოზე აუცილებლად იტყვის, რომ "ინტერის" ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. გუნდი ზედიზედ ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, მაგრამ ეს ჯერ არაფერია. "ნერაძური" კიდევ უფრო ამბიციურ მიზნებს ისახავს. მილანელები კიდევ ერთხელ შეეცდებიან სკუდეტოს მოპოვებას, და რაც მთავარია, მოურინიო ჩემპიონთა ლიგის დასაპყრობად იბრძოლებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გუნდის თავკაცს ხელმძღვანელობისგან სრული მხარდაჭერა აქვს. მორატი ფულს გულუხვად დახარჯავს, მთავარია, შემადგენლობა გაძლიერდეს და გუნდი ერთ მუშტად შეიკვრას. მოკლედ, მოურინიოს ეტოოს დასარწმუნებლად არგუმენტები ნამდვილად არ მოაკლდება...



როგორც ხედავთ, "ჩელსი" და "ინტერი" უაღრესად მოტივირებულები არიან, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, ეტოოს "მილანიც" ეპატიჟება. გუშინდელ "დიარიო მარკაში" ძალიან საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა. მადრიდელმა ჟურნალისტებმა აპენინელი კოლეგებისგან შეიტყვეს, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრად ახლახან არჩეულმა **სილვიო ბერლუსკონიმ ადრიანო გალიანის** ბრძოლის გააქტიურება და სამუელ ეტოოს უახლოეს კვირებში გადაბირება დაავალა. იმავე "დიარიო მარკაში" ეწერა, რომ "როსონერი" "ბარსელონას" ყველაზე მეტ ფულს სთავაზობს. საუბარია, 34 მილიონ ევროზე. "მილანს" კიდევ ერთი უპირატესობა აქვს. საქმე ის არის, რომ გალიანი **ლაპორტასთან** მოლაპარაკებას გასული წლიდან აწარმოებს. მართალია, მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ კატალონიური გრანდის უმაღლესი ხელისუფალი კოლეგას შეპირდა, თუ სამუელის შეძენის სურვილი მომავალშიც გექნებათ, პრიორიტეტს "მილანს" მივანიჭებთო. გალიანის ისღა დარჩენია, ბარსელონას გაემგზავროს და დაწყებული საქმე დაასრულოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიეგო ფრედს ბრემენში ეპატიჟება

## მუსიკოსები კიდევ ერთ ბრაზილიელს უხმობენ

"ვერდერის" ხელმძღვანელები მაღალი კლასის თავდამსხმელის ძებნას აგრძელებენ. მას მერე, რაც ბოლივიელმა **მარსელო მორენომ** ბრემენულ კლუბში გადასვლა იუარა, "მუსიკოსების" შეფებმა ყურადღება "ლიონის" ბრაზილიელ ფორვარდ **ფრედზე** გადაიტანეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, 24 წლის თავდამსხმელი "ვერდერის" ბოსების სასურველ ფორვარდთა სიაში პირველ ადგილზეა.

"ბილდის" ცნობით, ფრანგული კლუბის შეფები თანახმა არიან, მოლაპარაკებები დაიწყონ, ოღონდ, როგორც ირკვევა, ფრედის სანაცვლოდ მინიმუმ 15 მილიონ ევროს ითხოვენ. "ვერდერისთვის" 15 მილიონი ძალიან ბევრია, მაგრამ არა იმდენი, რომ ბრემენელებმა ამ თანხის გადახდა ვერ მოახერხონ. "ლიონთან" მოლაპარაკებებს "ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსიც** ადასტურებს, თუმცა იმასაც ამბობს, სიახლე არ არისო.

*"ჩვენი კოზირი ისიც არის, რომ "ვერდერში" უკვე გვყავს ორი ბრაზილიელი - დიეგო და ნალდო, რომლებიც ფრედს არწმუნებენ, რომ "ვერდერში" თავს ძალიან კარგად იგრძნობს,"* - აცხადებს ალოფსი.

ფრედს ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრა უნდა და თუ **ნალდოს** და **დიეგოს** რჩევებს გაითვალისწინებს, წესით "ვერდერში" გადასვლაზე უარი არ უნდა თქვას, რადგან დიეგო ბრემენული კლუბის ფორმის მორგების შემდეგ "სელესაოში" ადგილი დაიბრუნა, ნალდო კი ბრაზილიის ნაკრების გაფართოებულ სიაშია. ფრედს ნაკრებში 9 თამაში აქვს ჩატარებული და "სელესაოს" რიგებში ბოლოს 2007 წლის 24 მარტს იასპარეზა (4:0 ჩილესთან).

**გოტფრიდ ლენცი**



ფრედს საფრანგეთის ჩემპიონატში 72 შეხვედრაში 32 გოლი აქვს გატანილი

დაპირისპირება

# მანჩესტერმა რეალს ფიფაში უჩივლა

## კალდერონი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს



მაშინ, როცა მთელი ევროპის ყურადღება ავსტრიისა და შვეიცარიისკენაა მიპყრობილი, საკლუბო ფეხბურთმა მეორე პლანზე გადაინაცვლა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით არაფერი ხდება. პირიქით, საფეხბურთო სამყარო დიდი სკანდალის მომსწრე გახდა. მადრიდის "რეალს" დიდი უსიამოვნება შეემთხვა. ესპანური გრანდის წინააღმდეგ "მანჩესტერ იუნაიტედმა" ფიფაში საჩივარი შეიტანა. რა თქმა უნდა, ყველა ვხვდებით, რომ საქმე **კრისტიანო რონალდოს** შეეხება. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბი პორტუგალიელი ვარსკვლავის გადასაბირებლად შეუპოვრად იბრძვის. ალბიონელების კატეგორიული უარისა და არნახული წინააღმდეგობის მიუხედავად, **რამონ კალდერონი** უკან არ იხევს. "იუნაიტედის" მესვეურებმა ესპანელი კოლეგები ჯერ კიდევ 27 მაისს გააფრთხილეს, თავს თუ არ დაგვანებებთ, ფიფაში გიჩივლებთო. ამის პასუხად, "რეალის" პრეზიდენტმა განაცხადა, ჩვენ არაფერს ვაშავებთ, უბრალოდ, სასურველი ფეხბურთელის გადაბირება გვსურსო. მოკლედ, ინგლისელებმა მოთმინება დაკარგეს და საქმის გარჩევა უმაღლეს საფეხბურთო ორგანოს მოსთხოვეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, ფიფას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის განცხადებას გაგაცნობთ: *"გუშინ, "მანჩესტერის" იურისტები ჩვენს შტაბბინაში მოვიდნენ და სარჩელი შემოიტანეს. ისინი მადრიდის "რეალს" არაკანონიერი სატრანსფერო მოლაპარაკებების წარმოებაში ადანაშაულებენ. "მანჩესტერის" მესვეურები ფიქრობენ, რომ რამონ კალდერონი და პრედრაგ მიატოვიჩი მათ ზურგს უკან მოქმედებდნენ. ფიფა სარჩელს, რა თქმა უნდა, გულდასმით განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს."*

ამ ინფორმაციას სენიორ რამონ კალდერონი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა და განაცხადა: *"მესმის, რომ მათთვის რონალდოსთან განშორების წარმოდგენაც კი უკიდურესად მტკივნეულია, მაგრამ ჩვენ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაგვიდენია. "მანჩესტერის" ზურგს უკან ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს. პირიქით, მათ ყოველთვის ვეკონტაქტებოდით და ჩვენს ინიციატივებს ვაცნობდით. ალბათ, განსაკუთრებით მას შემდეგ გალიზიანდნენ, რაც კრისტიანომ ჩვენთან გადმობარგების სურვილი გამოთქვა. ყველას დიდ ბოდიშს ვუხდი, მაგრამ "რეალს" მართლა არაფერი დაუშავებია. ჩვენ პლანეტის საუკეთესო გუნდი ვართ და "ბერნაბეუზე" თამაში ყველას ხიბლავს. დარწმუნებული ვარ, ფიფა სამეფო კლუბს გაამართლებს."*

ძნელი სათქმელია, სენიორ კალდერონმა საიდან მოიტანა, რომ რონალდომ კარიერის მადრიდში გაგრძელების სურვილი გამოთქვა. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ბოლო პრესკონფერენციაზე მხოლოდ ის განაცხადა, ჩემს მომავალთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მივიღებო. როგორც ჩანს, პრეზიდენტს რონალდოსთან ფარული ურთიერთობა მართლაც აქვს...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008. მეტოქეები. ბრიტანეთი, ძიუდო

# კრეიგ ფელონი, ხერგიანის კონკურენტი


კრეიგ ფელონი

ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა ბრიტანეთმაც გამოაცხადა - ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **კრეიგ ფელონი** (60), ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **იუან ბარტონი** (81), ევროპის მესამე პრიზიორი **ვინსტონ გორდონი** (90), ევროპის ბრინჯაოსმედალოსანი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **პიტერ გუსინსი** (100). ბრიტანელებმა მეტი ლიცენზია ვერ მოიპოვეს და არც ამ წონებში ჰყავთ იმდენად ძლიერი დუბლიორები, მეტოქეთათვის ამ შემადგენლობის გამოცნობა დიდი საიდუმლო ყოფილიყო. ამათგან ბარტონმა და გუსინსმა საგზურები მსოფლიო ჩემპიონატზე გაინაღდეს, ფელონმა და გორდონმა - სალიცენზიო ტურნირებში.

25 წლის ვულვერჰემპტონელი ფელონი პეკინის ოლიმპიადაზე **ნესტორ ხერგიანისთვის** ერთ-ერთი სერიოზული და უმთავრესი კონკურენტი იქნება. 2003 წელს მათ ევროპირველობის ფინალში იჭიდავეს და მაშინ ჩვენებურმა პატარა ბავშვივით ათრია მეტოქე. იმ შეხვედრაში ხერგიანი თავიდან ბოლომდე სოლიდურ უპირატესობას ფლობდა და მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი, მაგრამ მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა და ძალთა თანაფარდობაც ბრიტანელის სასარგებლოდ შეიცვალა. მან ის სეზონიც წარმატებით დაასრულა, ვინაიდან კიდევ ერთი ფინალი იჭიდავა - მსოფლიოსი, მაგრამ კორეელ **ჩო მინ ჰოისთან** დამარცხდა და ისევ ვერცხლს დასჯერდა, თუმცა მერე უკეთესი შედეგები ჰქონდა - 2005-ში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 2006-ში - ევროპისა. ცხადია, ამ ყველაფერს დიდი პროგრესის ხარჯზე მიაღწია და ამ პერიოდში რამდენჯერმე მოუგო ხერგიანს. მერე ფელონმა მხარი იტკინა და შარშან მსოფლიო პირველობაც ამის გამო გამოტოვა. თუმცა იმ ტურნირის შემდეგ მწყობრში მალევე ჩადგა და სალიცენზიო ტურნირები ძლევამოსილად ჩაატარა - რამდენიმე მათგანი მოიგო და ლიცენზია უპრობლემოდ მოიპოვა. ამ ტურნირებში მის გამოსვლას ჩვენც დიდი ინტერესით ველოდით, რადგან ლიცენზიის მოპოვების ჩინებულ შანსს ინარჩუნებდა მისივე თანაგუნდელი, ჩვენი ტურნირის წლევანდელი ჩემპიონი **ჯეიმს მილარი**. ის შედარებით სუსტია და ხერგიანის მეტოქედ ბევრად გვერჩივნა, მაგრამ... ბოლო წლებში ამ წონაში ხერგიანს ძალიან უჭირდა იმავე ფელონთან, ლეგენდარულ იაპონელთან, სამგზის ოლიმპიურ და მსოფლიო პრიზიორ **ტადაჰირო ნომურასთან**, აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **ნიჯატ შიხალზადესთან** და ავსტრიელ ევროპის ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერთან**. სამწუხაროდ, ამათ უკვე ჰოლანდიელი მსოფლიო ჩემპიონი **რუბენ ჰოუკესიც** დაემატა. ამათგან მსოფლიოზე ფელონი, ნომურა და შიხალზადე არ ჭიდაობდნენ, რამაც ხერგიანს ფინალამდე მისვლა გაუიოლა, მით უფრო, პაიშერი და ჰოუკესიც ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ. ნომურა და შიხალზადე არც ოლიმპიადაზე იქნებიან - იაპონელი თავისი ქვეყნის ნაკრებში ვერ მოხვდა, აზერბაიჯანელი კი დროპინგის მიღებისთვის 4 წლით მოკვეთეს სპორტიდან. იმედია, ხერგიანი ამ შეღავათით ახლაც ისევე ისარგებლებს, როგორც - მსოფლიოზე.

ედინბურგელი **ეუან ბარტონი** ამ კვარტეტში ერთადერთი შოტლანდიელია. ისიც ძალიან ძლიერი ფალავანია, რომელმაც შარშან ევროპაზეც და მსოფლიოზეც ბრინჯაო მოიპოვა, თუმცა ამ წონაში ოლიმპიადაზე მედლების მოპოვების დიდი შანსი არ გვაქვს და ამიტომ მასზე ყურადღებას არ შევაჩერებ.

ლონდონელი **ვინსტონ გორდონი** ყველაზე კარგად ათენის ოლიმპიადის ნახევარფინალიდან გვახსოვს, სადაც ფეხმტკივანმა **ზურაბ ზვიადაურმა** გაფრთხილებებით მოუგო. გორდონის კარიერაში პირველხარისხოვანი ტურნირების ერთადერთი მედალია - ორი წლის წინათ ევროპული ბრინჯაო მოიპოვა, მაგრამ მთელი ეს წლები, ის მაინც წონის ლიდერად რჩება. ყველაფერი შედეგებით ფასდება და იქნებ მწირი მონაგარის გამო ვთქვათ, რომ არც ისე ძლიერია, მაგრამ რაღაცნაირი უცნაური საჭიდაო სტილის გამო ყველასთვის უხერხულ მეტოქედ რჩება. მაგრამ მოუხერხებელი სტილი **ირაკლი ცირეკიძესაც** ახასიათებს, რომელიც ბრიტანელზე ბევრად მაღალი დონის მოჭიდავეა. ამიტომაც არ გვგონია, რომ გორდონი მისთვის სერიოზული კონკურენტი იყოს, თუმცა ეშმაკს რომ არ სძინავს, ეს ცირეკიძესაც კარგად უნდა ახსოვდეს. გორდონს ძალიან გაუჭირდა ლიცენზიის მოპოვება, რადგან ნამდვილად არ უდგას კარგი სეზონი. ყოველ შემთხვევაში, იანვარში თბილისშიც ვნახეთ მისი ჭიდაობა და გვახსოვს, რა უფერულად გამოვიდა - მეორე წრიდან გავარდა. სალიცენზიო რეიტინგში ის მერვეზე გავიდა და სულ რაღაც 76 ქულა დააგროვა.

ფელონის დარად, პეკინში **პიტერ გუსინსიც** ბრიტანელთა უმთავრესი იმედი იქნება. პარალელურად, სერიოზული კონკურენტი **ლომერ ყორყოლიანისთვის**. მისი პირველი სერიოზული წარმატება 2006-ის ევროპაზე მოპოვებული ბრინჯაოა, შარშან კი ბრაზილიაში მსოფლიოს ფინალში გავიდა და მასპინძელ **ლუსიანო კორეასთან** წააგო. წლეულს ევროპაზე მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ მეხუთეზე გავიდა, ამ დინამიკით კი კარგად ჩანს მისი ბოლოდროინდელი სტაბილურობა. ამ წონაში ძალიან ბევრი ტიტულოვანი ფალავანია, მაგრამ პეკინში გუსინსიც ერთი მედალზე დაგეშილი ლიდერთაგანი იქნება.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი. IRB-ის ერთა თასი

# დღეს, ბუქარესტში!

IRB NATIONS CUP
Bucharest 2008

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დღეს, თბილისის დროით 19 საათზე, ბუქარესტში IRB-ის ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრაში სამხრეთ აფრიკის A ნაკრებს დაუპირისპირდება. დანარჩენი ორი მატჩისგან განსხვავებით "ქურციკების" წინააღმდეგ ბორჯღალოსნებს ავსტრალიელი მწვრთნელი **ტიმ ლეინი** წარუძღვება. ჩვენი ეროვნული გუნდის ოცდაორკაციან განაცხადში ექვსი დებიუტანტია, რომელთაგან ძირითად თხუთმეტეულში მხოლოდ „ლოკომოტივის" მეორეხაზელი **ბაჩუკი გუჯარაიძე** მოხვდა. ტრავმირებული **გიორგი კაჭარავას** ნაცვლად ბუქარესტულ შემადგენლობაში მოხვდა ქუთაისის „აიას" 9 ნომერი **ირაკლი როხვაძე**.

პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივ არხზე იხილავთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველო სამხ. აფრიკასთან**

15. ოთარ ბარკალაია, 14.გიორგი შკინინი, 13.ალექსანდრე თოდუა, 12.რეზო გიგაური, 11.ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა მალაღურაძე, 9.ბიძინა სამხარაძე; 1.დავით გასვიანი, 2.ირაკლი ნატრიაშვილი, 3.შოთა მელიქიძე, 4.გიორგი ნემსაძე, 5.ბაჩუკი გუჯარაიძე, 6.სიმონ მაისურაძე, 7.ირაკლი გუნდიშვილი, 8.ბესიკ უდესიანი (კ).

16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. გიორგი ხოსიტაშვილი, 18. კახაბერ უჩავა, 19. ვიქტორ კოლელიშვილი, 20. ირაკლი როხვაძე, 21. ლაშა ხმალაძე, 22. ირაკლი ყიასაშვილი.

| 15 ივნისი | |
|---|---|
| საქართველო-ურუგვაი | 17.00 |
| **20 ივნისი** | |
| საქართველო-იტალია A | 19.00 |

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# ბერლინის დიდ სლემზე




ბერლინში პლაჟბურთის მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყო, რომელიც დიდი სლემის ეგიდით გაიმართება. მოწინავე წყვილები ჯგუფებში განაწილდებიან, დანარჩენებს კი იქ მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა მოუწევს. ამ უკანასკნელთა შორის მოხვდა ქართული წყვილი **საქართველო**. ჩვენმა ფრენბურთელებმა კვალიფიკაციის პირველივე შეხვედრაში მასპინძელთა წარმომადგენლებთან ზემლერთან და კოლეჰერთან ორ სეტში მარცხი განიცადეს 19:21, 16:21 და გათამაშებას გამოეთიშნენ.

კვალიფიკაციიდან დაიწყებს ასპარეზობას დღეს გეორ-გიაც. თუმცა მათ სადარდებელი ძირითად ბადეში ვერ მოხვედრის შემთხვევაში ნაკლებად აქვთ. ჩვენ ვაჟებს, ქალებისგან განსხვავებით პეკინის ოლიმპიადის საგზური გარანტირებული აქვთ. ქალებს კი ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები ელით წინ, მით უფრო, რომ ბოლო ორ ეტაპზე საქა-რთველოს ხელი მოეცარა და საოლიმპიადო ჩათვლაში ბელგიურმა წყვილმა (ვან ბრეედამი-მუა) 30 ქულით გაუსწრო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი ფავორიტია

კარიერაში პირველად 25-ათასიან საჩოგბურთო ტურნირზე 18 წლის **ანა ტატიშვილი** (254) მეორე ნომრად განთესეს. ჩვენებურის პირველი მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული 23 წლის ამერიკელი **ალექსის პრუსისია** (518). წყვილთა თანრიგში ანა ამერიკელ **კიმბერლი კაუტსთან** ერთად მე-4 ნომრად არის განთესილი. ქართულ-ამერიკული დუეტი პირველ წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეულ ამერიკელებს (**ჰარკინსი, სანდერემი**) ეთამაშება.

სტამბოლში (თურქეთი) 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ხუთი ქართველია, გუშინ რამდენიმე თამაში გაიმართა, ჩვენებურთაგან საქმეში მხოლოდ **ეკა გორგოძე** ჩაერთო და წარმატებითაც. 16 წლის გორგოძემ საკვალიფიკაციო ბადის დაძლევის შემდეგ მერვედფინალში გაღწევაც შეძლო. პირველ წრეში მან რუსი **ეკატერინა კისელევა** დაამარცხა ორ სეტში – 6:3, 6:2. ამ შეხვედრაში ქართველი ფავორიტი იყო, რადგან კისელევა ჯერ 15 წლისაც არ არის, ის ძირითად ბადეში გორგოძის მსგავსად საკვალიფიკაციო ბადიდან მოხვდა. ეკა მერვედფინალში **ანა ჯიქიასა** და მე-2 ნომრად განთესილ **კაგლა ბუიუქაგჩაის** შორის გამარჯვებულს შეხვდება.

წყვილთა თანრიგში ძირითადი ბადის ქართული ხუთეულიდან არ თამაშობს მხოლოდ **ოქსანა კალაშნიკოვა**.


ანა ტატიშვილი

ეკა გორგოძე და ანა ჯიქია შეამხანაგდნენ, ისევე როგორც **სოფიო ქვაცაბაია** და **მანანა შაფაქიძე**. ეს უკანასკნელი წყვილი ტურნირში მე-4 ნომრად განთესეს. შაფაქიძე და ქვაცაბაია უკვე მეოთხედფინალში არიან. პირველ წრეში მათ გერმანელი **რიპოლისა** და ებრაელი **შლომოს** დუეტი დაამარცხეს – 6:1, 7:6 (7). თუკი ანა ჯიქია და ეკა გორგოძე თავიანთ მატჩს მოიგებენ, მეოთხედფინალში სტამბოლის კორტზე ერთდროულად ოთხ ქართველს ვიხილავთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამბო

# იმერლიშვილმა გაიმარჯვა

6-9 ივნისს მოსკოვში ხარლამპიევის სახელობის სამბისტთა ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც დიდი წარმატებით იჭიდავა ახალგაზრდა **ბექა იმერლიშვილმა** და 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა არავის დაანება. აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი ჩვენებმა პირველად მოიგეს. იმერლიშვილი ჯერ ისევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია, ტურნირი კი უფროსებში ტარდებოდა, თან, თბილისში გამართულ ევროპის პირველობაზე ბევრად ძლიერიც გახლდათ - "ლუჟნიკების" საჭიდაო დარბაზში 29 გუნდი გამოდიოდა. მასპინძლები 8 ნაკრებით გამოდიოდნენ, ისინი სამბოს როგორ დაჰფოფინებენ, თბილისშიც ვნახეთ, ეს ფაქტი კი ცხადყოფს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ტურნირს და რა ძნელი ბრძოლები ელოდათ იქ სტუმრებს. თუმცა ამ წნეხს იმერლიშვილი არ შეუშინდა და ბრწყინვალედ იმარჯვა.

ფინანსური პრობლემების გამო, წლეულს ხარლამპიევის ტურნირში საქართველოს ნაკრები ვერ მონაწილეობდა და იქ მხოლოდ ორი სპორტსმენი გაემგზავრა საკუთარი ხარჯებით - იმერლიშვილი და **უშანგი კუზანაშვილი**. მსოფლიო ჩემპიონმა ამჯერად ზედა წონაში - 57-ში იჭიდავა, თუმცა თავი არც იქ შეურცხვენია და ბრინჯაო მოიპოვა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. U 12

# ხუთოსანი ორია

მეხუთე ტურმაც ჩაიარა და როგორც ვაჟთა ისე გოგონათა შორის გამოკვეთილი ლიდერი გამოჩნდა: **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** და **დეა გოგიშვილი**. ორივეს ქულათა აღმნიშვნელ გრაფაში ხუთი უწერია და თუ ფიგურალურად, ძველ ყაიდაზე ვიტყვით, კლასში (ჩემპიონატში) ორი ხუთოსანი გვყავს. განსაკუთრებით წონადია გოგიშვილის ხუთიანი, რადგანაც უახლოეს მდევართა ოთხკაციან ჯგუფს მთელი ერთი ქულით უსწრებს; ასეთი სხვაობა კი ჭადრაკში საკმაოდ ძვირად ფასობს. დეამ რომ გუშინ **ადა ქაქუთიას** აჯობა, რთული ახსნა-განმარტება სჭირდება, მაგრამ დიდი იყო შანსი, პირველზე მისი მეტოქე აღმოჩენილიყო. საქმე ის გახლავთ, რომ დებიუტში დეამ შეცდომა დაუშვა და ადამ დიდი უპირატესობა მიიღო; მატერიალურადაც დაწინაურდა და შეტევის განვითარებაც შეეძლო.

დეას მცირე კონტრშანსი ლაზიერის ფრთაზე ჰქონდა, მაგრამ თუკი ქაქუთია ერთ პროფილაქტიკურ სვლას მაინც გააკეთებდა, გოგიშვილის შანსებიც საპნის ბუშტივით გაქრებოდა. დეას ბედად, ადამ უყურადღებოდ ითამაშა, საფრთხის საშიშროება ვერ იგრძნო და უხეში შეცდომაც დაუშვა: მეტოქემ ერთი ტემპით აიღო ხელში ინიციატივა უმალ ლაზიერად გარდაქმნა F პაიკი. თეთრების მეფის დასაშამათებლად მცირე დროლა იყო დარჩენილი, მაგრამ ადამ დროს გადააცილა და წესის თანახმად წაგება ჩაეთვალა.



ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (მარცხნივ)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მეორე დაფაზეც თვალსასეირო ბრძოლა იყო, მაგრამ **თეკლა მაჭარაშვილმა**, რომელიც მეორეა განთესვით, **ნატო იმნაძეს** მოუგო. ნატო მესამე ნომერია და მაჭარაშვილისთვის ამ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

დაძაბული ვითარებაა ვაჟთა შორისაც და კვლავ ვერ ამართლებს პირველ ნომრობას **ირაკლი ბერაძე**, - მან გუშინ თეთრებით **გიგლა ბენიძესთან** მოგება ვერ შეძლო და მხოლოდ ნახევარ ქულას დასჯერდა. გიგლა არ არის ხელწამოსაკრავი - მეორე ნომერია და თავის შანსს ეძებს, თუმც ბერაძესთან შავებით ნახევარი ქულის აღება მაინც წარმატებად უნდა ჩაეთვალოს.

როგორც უკვე ვთქვით, ხუთი ქულით ერთპიროვნულად ნიკოლოზ ქუმსიაშვილი დაწინაურდა. გუშინ მან თეთრებით დაამარცხა გუგა ბურდული. ქუმსიაშვილი, ცხადია, ეცდება ფინიშის ხაზის პირველად გადაკვეთას და ამაში დღეს უშუალო კონკურენტ **გიგლა ბენიძესთან** გამარჯვება დიდად შეეწევა; თუ შეძლებს, რა თქმა უნდა, - ქუმსიაშვილი შავებით თამაშობს.

ლიდერს ნახევარი ქულით ოთხი მონაწილე ჩამორჩება. მათ შორის არის **მამუკა ანთაძეც**, რომელმაც გუშინ გიორგი სიბაშვილს მოუგო შავებით. ანთაძესაც სერიოზული მიზნები აქვს და ამ გზაზე დღეს უპირველესი ფავორიტის, ირაკლი ბერიძის ბარიერის გადალახვა მოუწევს. ანთაძე თეთრებით იქნება და საწყისი უპირატესობის გამოყენებას ეცდება. ოთხი ქულით და გარკვეული შანსებით ხუთი მოჭადრაკე უდგას წინ წასულთ კვალში და დღევანდელი ტურის შემდეგ გამოჩნდება, ვის რისი იმედი უნდა ჰქონდეს დარჩენილ ტურებში.

მეხუთე ტური: გოგონები: **ადა ქაქუთია - დეა გოგიშვილი - 0:1; თეკლა მაჭარაშვილი - ნატო იმნაძე - 1:0; ანა შამათავა - მარიამ სამურკასოვი - 1:0; ნინო ხომერიკი - მარიამ ჭოლაძე - 1:0; მარიამ ვალიშვილი - ანა თედოშვილი - 1:0; მეგი ჭაჭია - ნანა მელაძე - 1:0**

ვაჟები: **ირაკლი ბერაძე - გიგლა ბენიძე - 0,5:0,5; ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - გუგა ბურდული - 1:0; გიორგი სიბაშვილი - მამუკა ანთაძე - 0:1; ბექა ბესელია - ალექსანდრე ურდულაშვილი - 0:1; გიორგი შალვაძე - უჩა მღვდელაძე - 0:1; ნოე თუთისანი - ირაკლი კელაპტრიშვილი - 0:1; გუგუნა ხიდეშელი - ლეონტი ხუბუნაია - 0,5:0,5; თემურ ოთხოზორია - გიორგი დანგაძე - 0:1**

მეექვსე ტურში: გოგონები: **დეა გოგიშვილი (5) - ანა შამათავა (4); მარიამ ვალიშვილი (4) - თეკლა მაჭარაშვილი (4); ნატო იმნაძე (3,5) - ნინო ხომერიკი (4); ადა ქაქუთია (3,5) - მეგი ჭაჭია (3,5); მარიამ ჭოლაძე (3) - მარიამ სამერკასოვი (3); ნინო ჯლარკავა (3) - მარიამ ცერცვაძე (2,5)**

ვაჟები: **გიგლა ბენიძე (4,5) - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (5); მამუკა ანთაძე (4,5) - ირაკლი ბერაძე (4,5); ალექსანდრე ურდულაშვილი (4,5) - ირაკლი კელაპტრიშვილი (4); უჩა მღვდელაძე (4) - გიორგი მამნიშვილი (4); გუგა ბურდული (4) - გიორგი დანგაძე (4); ალექსანდრე ებრალიძე (3,5) - ბექა ბესელია (3,5); ნიკოლოზ ბერძენაძე (3,5) - გიორგი სიბაშვილი (3,5); ილია ხელაძე (3,5) - ნიკა ლვამბერია (3,5)**

ზვიად შათირიშვილი

წყალში ხტომა. მსოფლიო გრანპრი

# ოლიმპიელების მხარდამხარ

გერმანიის ქალაქ როსტოკში დამთავრდა წყალში მხტომელთა მსოფლიო გრანპრის მეექვსე ეტაპის გათამაშება.

აშშ-ისა და იტალიის გარდა, როსტოკში ჩავიდა ყველა ის ქვეყანა, რომლებიც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებენ. ამდენად, შეჯიბრება ძალიან ძლიერი იყო.

საბოლოოდ, ინდივიდუალურ ხტომებში, **ჭოლა ჭანტურიამ** 331 ქულა დააგროვა, **შოთა კორახაშვილმა** კი 347 ქულა მიითვალა. აღსანიშნავია, ჭანტურიას ხელის ტრავმის გამო, ჩვენებურები სინქრონულ ხტომაში ვერ გამოვიდნენ.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა კორახაშვილით, რომელიც ბოლო ხანს საკმაოდ სტაბილურად ასპარეზობს. 23 ივნისს, იგი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ჩაერთვება და თუ იქ როსტოკში ნაჩვენები შედეგი აჩვენა, სულ მცირე, ხუთეულში მოხვედრა შეეძლება.

კორახაშვილის გარდა, ევროპის ჩემპიონატზე წავლენ **სალომე ჯულელი** (1 მეტრიდან ხტომა) და **ბორის მამისარაშვილი** (3 მეტრიდან ხტომა). შოთა კი 1 და 3 მეტრიდან იხტუნავებს. ამას გარდა, კორახაშვილი და მამისარაშვილი 3 მეტრიდან სინქრონულადაც გადმოხტებიან.

კობა ხატისაშვილი

კალათბურთი

# იგორ კოკოშკოვი საკლუბო გაურკვევლობაში



ტერი პორტერი, იგორ კოკოშკოვი და მაიკლ კერი

გორდონ ჰერბერტმა საქართველოს ნაკრებში ორი წელიწადი იმუშავა და ამ პერიოდში სამი კლუბი გამოიცვალა - "პარიზი", "პო ორტეზი" და "არისი". აპრილში კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ახალი მწვრთნელი NBA-ს გუნდიდან იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ საკლუბო საქმეებს სანაკრებოსთვის ხელი არ შეეშალა, მაგრამ **იგორ კოკოშკოვმა** საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოასწრო, რომ კლუბში საქმეები აერია. ახლა უფრო კონკრეტულად: იგი "დეტროიტ პისტონსში" **ფლიპ სონდერსის** ერთ-ერთი თანაშემწე იყო. NBA-ს ნახევარფინალში დეტროიტელების "ბოსტონთან" წაგების შემდეგ მწვრთნელით უკმაყოფილო პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** სონდერსი თანამდებობიდან გადააყენა და გუშინ "პისტონზის" ახალი მწვრთნელის გვარიც გამოაცხადა - **მაიკლ კერი.**

39 წლის კერი სონდერსის ასისტენტი იყო და აქამდე მთავარი მწვრთნელის რანგში არ უმუშავია. სპეციალისტთა ვარაუდით, სონდერსი მის პირველ თანაშემწეს ტერი პორტერს უნდა შეეცვალა, მაგრამ პორტერი ფინიქსელთა მიწვევით "სანზის" თავკაცად დაინიშნა.

მოკლედ, "დეტროიტის" სამწვრთნელო შტაბის სამი წევრის ასავალ-დასავალი გავარკვიეთ: **ფლიპ სონდერსი** უმუშევარია, **მაიკლ კერი** - "პისტონზის" მთავარი მწვრთნელი, ხოლო **ტერი პორტერი** - "ფინიქსის". რა ელის მეოთხეს, **იგორ კოკოშკოვს?** დარჩება თუ არა "დეტროიტში"? ალბათ კერის გადასაწყვეტია.

ინფორმაცია სამწვრთნელო რეფორმებზე გუშინ გაზეთ "დეტროიტ ნიუსში" ამოვიკითხეთ. იქვე ცალკე აბზაცი იგორ კოკოშკოვს დაეთმო:

**"მაიკლ კერის შტაბში ჯერჯერობით არაფერია დალაგებული. ტერი პორტერი "ფინიქსში" წავიდა, გუნდში აღარ დარჩა კიდევ ერთი მწვრთნელი დეივ ჯოუნსი. იგორ კოკოშკოვი, რომელიც "დეტროიტ პისტონსში" 2003 წლის შემდეგ მუშაობდა, ევროპაში მთავარი მწვრთნელის პოსტზე განაგრძობს საქმიანობას. ალბათ, სერბეთის ნაკრებში".**

"დეტროიტ ნიუსის" ჟურნალისტს კოკოშკოვზე ნაწილობრივ სწორი ინფორმაცა ჰქონია - იგი ევროპაში მართლაც მთავარ მწვრთნელად იმუშავებს, მაგრამ სერბეთის ნაკრებში მისი დანიშვნა აშკარად მედიელების ვარაუდია. რადგან კოკოშკოვს საქართველოს ნაკრებთან ორწლიანი კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვს და კალათბურთის ფედერაციაშიც დაგვიდასტურეს, რომ იგი არა სერბეთის, არამედ საქართველოს ეროვნულ გუნდში იმუშავებს.

ვაჟა სიმონიშვილი

მძლეოსნობა. სალიცენზიო ტურნირები

# ილარიანის ორი შანსი



დავით ილარიანი

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია იმედოვნებს, რომ **მარიამ ქევხიშვილი** არ იქნება პეკინის ოლიმპიური თამაშების ერთადერთი ქართველი მძლეოსანი.

მთლიანობაში, ფედერაცია კიდევ ორიოდე ლიცენზიას გეგმავს, მაგრამ ამჟამად, ყველაზე რეალურია პეკინის საგზურის მოპოვება 100 მეტრზე თარჯრბენში, რომელშიც **დავით ილარიანი** გამოდის.

ილარიანი უკრაინის დედაქალაქ კიევში ვარჯიშობდა, საიდანაც გუშინ ბელორუსის დედაქალაქში გადაინაცვლა. მინსკში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი და იქ ილარიანი პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებას შეეცდება. თუკი მას ბელორუსში ხელი მოეცარა, მაშინ მიზნის მისაღწევად 18 ივნისიდან იბრძოლებს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში, სადაც ევროპის საკლუბო ჩემპიონატი გაიმართება.

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# რუსთავის ახალი დარბაზი და ახალგაზრდულის იმედი

"ენერჯის" მწვრთნელის დავით უსტიაშვილის ინტერვიუ შარშანაც ივნისის დასაწყისში შემოგთავაზეთ. მას მაშინ დასვენება არ ჰქონია - საქართველოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრები შეკრიბა, ხოლო 20-წლამდელებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი რომ დასრულა, ეროვნულ ნაკრებს შეუერთდა. შარშანდელი ამბები ახლა იმიტომ გაგახსენეთ, რომ გვეთქვა: დავით უსტიაშვილს ამ ზაფხულსაც იგივე საქმე აქვს - "ენერჯის" შემდეგ ახალგაზრდული, ბოლოს - ეროვნული ნაკრები. ოღონდ, ამჯერად დასვენებისთვის მეტი დრო დარჩა, რადგან 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ივლისის ბოლოს იმართება.

"ენერჯისთან" და ახალგაზრდულ გუნდთან დაკავშირებით ყველაზე კომპეტენტური რომ მწვრთნელი დავით უსტიაშვილია, თავადაც მოგეხსენებათ. ასევეა ეროვნულ ნაკრებშიც - სწორედ დავით უსტიაშვილმა შეადგინა გუნდის გაფართოებული შემადგენლობა. შესავალი მეტად ვრცელი გამოვიდა. მოდით სამი გუნდის მწვრთნელის სამ გუნდზე ნაუბარი მოვისმინოთ:

**- საუბარი "ენერჯით" დავიწყოთ, რომელმაც მძიმე ბრძოლაში მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა.**

- საქმე იმანაც გაართულა, რომ შუა სეზონში გამოგვაკლდა ანატოლი ბოისა, ხოლო მეორე წამყვანმა მოთამაშე ბესიკ ლეჟავამ ოთხიდან ორი ფინალური მატჩი გამოტოვა. ძნელი იყო რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს თამაშიც: პლეი ოფში მოხვედრის საკითხი ნაადრევად გადავწყვიტეთ და მაშინ, როცა სხვა გუნდებს მოგებები ჰაერივით სჭირდებოდათ, მოტივაციის შენარჩუნება იოლი საქმე არ იყო.

**- ნახევარფინალში მშრალი ანგარიშით დაამარცხეთ "ვითა".**

- "ვითას" 3:0 კი ვაჯობეთ, მაგრამ მან მანამდეც დაგვანახა,, რომ კარგად აწყობილი და ბრძოლისუნარიანი გუნდია. თუმცა, ჩვენც ჩვენი პლუსები გამოვიყენეთ და ფინალში გავედით.

**- ... სადაც პირველი მატჩი შინ დათმეთ.**

- საწყის შეხვედრაში ბიჭებს მღელვარება ეტყობოდათ, თუმცა საბოლოოდ მისი დაძლევა მოვახერხეთ და შეხვედრის ბოლოს 6 ქულის სხვაობითაც დავწინაურდით. მაგრამ სწორედ, ამ დროს (სირენამდე 3 წუთით ადრე) ლაშა გამყრელიძემ ტრავმა მიიღო, ხოლო ბესიკ ლეჟავა გაგვიძევეს. ვფიქრობ, იმ ეპიზოდში ბესოსთვის ტექნიკური შენიშვნის მიცემაც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ მსაჯიც ხომ ადამიანია... საქმე ამით არ დასრულებულა - მოხდა დიდი არეულობა და კიდევ კარგი, მაყურებლების შეკავება მოხერხდა... თამაში ლეჟავასა და გამყრელიძის გარეშე განვაგრძეთ და მატჩი დავთმეთ.

**- მეორე შეხვედრას როგორ გაიხსენებთ?**

- პირველის წაგების შემდეგ მეორე თამაშისთვის ფსიქოლოგიურად სათანადოდ განწყობა ძალიან ძნელი იყო, თან ლეჟავას გარეშე გვიწევდა ასპარეზობა. იოვან სტეფანოვს კოჭი აწუხებდა, ხოლო ლაშა გამყრელიძემ მატჩის წინ გამაყუჩებელი ნემსი გაიკეთა. ასეთ რთულ ვითარებაში ლაშამ თავი არ დაზოგა, მაღალ დონეზე ითამაშა, 26 ქულა ჩააგდო და შეხვედრის ბედი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა. პირველ თბილისურ მატჩში დაგვიბრუნდა ბესიკ ლეჟავა, მაგრამ ჩხუბის გამო მეორეში ისევ გამოგვაკლდა. ბიჭებმა მობილიზება მოახერხეს და თბილისში ორივე თამაში ჩვენს სასარგებლოდ დავასრულეთ. ვფიქრობ, სერიის პირველ შეხვედრაში რომ მოგვეგო, ფსიქოლოგიური წნეხისგანაც გავთავისუფლდებოდით და შედარებით სხვა თამაშს ვუჩვენებდით.

**- მიჯრით გამართული მატჩებიდან ორივეში გაიმარჯვეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკურად კარგად იყავით მომზადებულნი...**

- ფიზიკურ წვრთნას დიდ ყურადღებას ვაქცევდით, მართალია ორჯერად ვარჯიშებს ვერ ვატარებდით, მაგრამ ყოველდღიური წვრთნა ხანგრძლივი იყო და ვიცოდით, რომ მას შედეგი ბოლოს უნდა გამოეღო. საბოლოოდ ასეც მოხდა, ფიზმომზადების მხრივ პრობლემები არ შეგვქმნია.

**- ამ საქმეში გრძელი სათადარიგოთა სკამიც დაგეხმარათ.**

- თავისი ფუნქცია ყველამ კარგად შეასრულა, სათადარიგოებმაც და ხუთეულის წევრებმაც.

**- ერთადერთი რეზო დიდიას რეზერვი ვერ აითვისეთ სათანადოდ.**

- რეზოს ჩემზე უკეთ არც ერთი მწვრთნელი ცნობს. იგი მუდმივად მზადყოფნაში მყავდა და როცა მოედანზე შემყავდა, თავის საქმეს კარგად ასრულებდა. თუმცა მას მძიმე კონკურენციის პირობებში მოუხდა თამაში. სერბმა იოვან სტეფანოვმა არაერთი თამაში მოგვაგებინა და მისი დიდი ხნით სათადარიგოთა სკამზე დასმა გაუმართლებელი იყო. რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს საკმარისი დრო მივეცით დიდიას, ცეკვავას, ჭოჭუას, ჩიტაშვილს, რათა მათ სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდათ, პლეი ოფისთვის ხომ შეიძლებოდა რომელიმე წამყვანი კალათბურთელი გამოგვკლებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა და ახალგაზრდებმა დაკისრებულ ფუნქციას თავი კარგად გაართვეს.

**- წინა სეზონში ფინალური სერია 3:0 მოიგეთ. ახლა ცოტა გაგიჭირდათ. ამის მიზეზი "ენერჯის" დასუსტება იყო, თუ მეტოქეთა გაძლიერება?**

- ერთიცა და მეორეც. გასული სეზონის შემდეგ გამოგვაკლდნენ დავით უგრეხელიძე, კოტე ტულუში, ვაკო ბეჟანიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, დავით ბერძენიშვილი და ვახტანგ მინაშვილი. მათ სხვა გუნდები გააძლიერეს, ჩვენ კი სათანადო შევსება ვერ მივიღეთ: უგრეხელიძის წასვლის შემდეგ კარგი ცენტრი გვჭირდებოდა, მაგრამ თავადაც ნახეთ - ნაუცბათევად ნაპოვნმა ანვარ ფერგიუსონმა ვერ გაამართლა. თუმცა, ჩვენი იმედები ბოლომდე გაამართლა იოვან სტეფანოვმა, რომელმაც დაკისრებული მოვალეობა კარგად შეასრულა - მოწინააღმდეგე ცენტრები სამნამიანი ზონიდან გამოჰყავდა.

**- წინა წლის მაგალითის გათვალისწინებით, მომავალი სეზონისთვის გუნდის ძირითად ბირთვს ალბათ, შეინარჩუნებთ...**

- წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ჯერ არ გადაწყვეტილა, გავალთ თუ არა ევროთასზე, თუ გავალთ, რა შემადგენლობა გვეყოლება და ა.შ. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ რუსთავში ახალი დარბაზი აშენდება. ეს საშვილიშვილო საქმე უკვე გადაწყვეტილია.

**- სამომავლო გეგმებს როდის დაისახავთ?**

- ყველაფერი "ენერჯის" უფროსობასთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

**- ახლა ეროვნულ ნაკრებზე გადავერთოთ. გუნდის გაფართოებული შემადგენლობის შედგენისას იგორ კოკოშკოვიც ხომ არ დაგეხმარათ?**

- მას საქართველოს ნაკრების მატჩებისა და მე-16 ჩემპიონატის პლეი ოფების ვიდეოფირები უკვე გაუგზავნეს. საბოლოო სიტყვა მასზეა, თუმცა, გაფართოებული შემადგენლობა მე შევადგინე. სიაში ბევრი ახალგაზრდა კალათბურთელია და შეიძლება ეროვნულში ვერ მოხვდეს. თუმცა ეროვნულის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა მისთვისაც სტიმული იქნება და იგორ კოკოშკოვსაც ეცოდინება მომავალში ვის უნდა დაეყრდნოს. შეკრება 25 ივლისს დაიწყება და იგორ კოკოშკოვი გადაწყვეტს, ვინ მოხვდება ნაკრებში და ვინ - არა.

**- ეროვნულიდან 20წლამდელთა ნაკრებზე ჩამოვინაცვლოთ. შარშანდელი შემადგენლობა ძირეულად შეიცვლება?**

- გასულ ზაფხულს გუნდში 1987 წელს დაბადებულები გვყავდა. წლეულს ამ ასაკისები გამოგვაკლდებიან და 1988-90 წლიანებს დავეყრდნობით. გამოგვაკლდა რამდენიმე საკვანძო ფიგურა: რეზო დიდია, მიხელი ბერიშვილი, მიხეილ ჭოჭუა, ლაშა ფარლალავა და ლექსო ლაფანაშვილი. მხოლოდ გვარების ჩამოთვლაც საკმარისია იმის დასანახად, რაოდენ სერიოზული დანაკლისი გვაქვს.

**- მათ ადგილს ვინ დაიკავებს?**

- შარშან ტრავმის გამო ევროპის ჩემპიონატზე ვერ წავიყვანეთ დიმიტრი ფაცაცია - ვარჯიშზე ხელი მოიტეხა. მასთან ერთად წლეულს გიორგი პირველაშვილი და ნოდარ შენგელია დაგვემატება. პირველაშვილი ახალგაზრდულში შარშანაც ვარჯიშობდა. ხოლო შენგელია შედარებით ახალგაზრდაა და ლიტვის ჩემპიონატის ქვედა ეშელონში აქვს გამოცდილება მიღებული. მას ფეხის ტრავმა აწუხებს, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ შეკრებას მწობრში შეხვდება.

**- გიორგი შერმადინის საკითხიც საინტერესოა.**

- მას ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი აქვს და ვიმედოვნებთ, რომ დაგვეხმარება. თუმცა, გიორგის საკლუბო საქმე როგორ აეწყობა, მისი დროულად ჩამოსვლა სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული. შერმადინი ხომ 2008 წლის NBA-ს დრაფტზე დგას.

**- შარშანდელთან შედარებით, ახალგაზრდულ ნაკრებში სუსტი შემადგენლობა ნამდვილად არაა...**

- იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება-მეთქი. ყველაფერი ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდება. ურთულეს ჯგუფში ვართ, იტალიის, თურქეთისა და ისრაელის გვერდით. მათ დასამარცხებლად ჩვენი შემადგენლობა რამდენად საკმარისი იქნება სწორედ ესაა საკითხავი.

**- ჯგუფში ერთი თამაშის მოგების იმედი ნამდვილად გვაქვს.**

- ცხადია, უიმედოდ ევროპის ჩემპიონატზე არც ჩვენ მივდივართ. ვიბრძოლებთ და არავის არაფერს დავუთმობთ. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მიზანი ელიტაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

**- შეკრებას როდის იწყებთ?**

- 23 ივნისს თბილისში შევიკრიბებით. ცოტა ხნით აქ მოვემზადებით და შემდეგ იტალიაში განვაგრძობთ წვრთნას. ევროპის ჩემპიონატამდე ჩვენი მზადყოფნის შესამოწმებლად იტალიური შეკრება ნამდვილად გამოგვადგება.

**- ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო ყველა საკითხზე ვისაუბრეთ. რამეს ხომ არ დაამატებდით?**

- ბოლოს მინდა, წარმატება ვუსურვო როგორც კადეტთა, ასევე ჭაბუკთა, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებს. იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალიშ "ენერჯი" კვლავ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს, ხოლო გასულ სეზონში გაწეული შრომისთვის მინდა მადლობა გადავუხადო კალათბურთელებს, გულშემატკივართა არმაიასა და კლუბის უფროსობას.

ვაჟა სიმონიშვილი



ახალგაზრდული ნაკრები

# ცამეტი

2006 წლის ზაფხულში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა **ვიქტორ სანიკიძის** წინამძღოლობით A დივიზიონის საგზური მოიპოვა. მომდევნო, 2007 წელს **დავით უსტიაშვილის** განვრთნილმა 20-წლამდელებმა ევროპის ჩემპიონატზე მე-14 ადგილი დაიკავეს და A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნეს.

წლეულს ახალგაზრდებს კვლავ დავით უსტიაშვილი განვრთნის და კვლავ ევროპის პირველობაზე მოუწევთ საქართველოს ღირსების დაცვა. 20-წლამდელთა ჩემპიონატი ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართება. იგი 1 აგვისტოს დაიწყება და ორ კვირამდე გასტანს. ევროპის პირველობა იგივე სისტემით ჩატარდება, როგორითაც შარშან გაიმართა: 16 გუნდი 4 ჯგუფად გაიყოფა. თითო ქვეჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 3-3 გადის. ბოლოადგილოსანი ოთხეული ელიტაში დარჩენისთვის განაგრძობს ბრძოლას. ასე რომ, ქართველთა მიზანი ჯგუფში მინიმუმ ერთი მატჩის მოგება და მეოთხე ადგილისთვის თავის დაღწევაა.

დავით უსტიაშვილის გუნდი რთულ ჯგუფში მოხვდა - იტალიის, თურქეთისა და ისრაელის ნაკრებებთან. ქართველებმა შარშან იტალიასთანაც დათმეს და ისრაელთანაც. ვნახოთ, წლეულს როგორ ითამაშებენ. პირველ მატჩში 1 აგვისტოს თურქებს დაუპირისპირდებით, მეორე დღეს - იტალიას, მესამე დღეს - ისრაელს.

ჩვენს 20-წლამდელებს შარშანდელი სეზონის შემდეგ გამოაკლდათ 1987 წელს დაბადებულები, სამაგიეროდ დაემატებათ 1989-წლიანები, თუმცა გუნდში ყველაზე უმცროსი 1990 წელს დაბადებული **ნოდარ შენგელია** იქნება. იგი ლიტვაში, მარჩულიონისის "აკადემიაში" თამაშობდა. ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშებს დრაფტგადახდილი ცენტრი გიორგი შერმადინი. თუმცა, ამერიკიდან როდის დაბრუნდება და გუნდს როდის შეუერთდება, ჯერ არ გარკვეულა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების თითოეულ კალათბურთელზე დეტალურად უახლოეს მომავალში გესაუბრებით, ხოლო დღეს გუნდის 13-კაციან სიას შემოგთავაზებთ. ისინი 23 ივნისს თბილისში შეიკრიბებიან.

**გიორგი გაფრინდაშვილი** ("მიდლენდი", აშშ), **გიორგი ცეკვავა** ("ენერჯი"), **ბექა წივწივაძე** ("ვითა"), **გიორგი გულისაბედაშვილი** ("დინამო"), **გიორგი ივანეიშვილი** (თსუ), **ზვიად ანთაძე** ("თბილისი"), **ნოდარ შენგელია** ("აკადემია", ლიტვა), **გიორგი პირველაშვილი** ("მაკაბი"), **ლუკა ნოზაძე** ("ვითა"), **რიჩარდ მათიაშვილი** ("ავიამშენი"), **გიორგი შერმადინი** ("მაკაბი"), **დიმიტრი ფაცაცია** ("არკანზასი", აშშ), **ირაკლი ჯგერენაია** ("აიდაჰო", აშშ)

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. პირველი ორი მატჩის ექო

# გამარჯვებულებს არ ასამართლებენ




"ბოსტონ გარდენის" ტრიბუნაზე მჯდომი დევიდ სტერნი გაურკვეველი მიმართულებით იყურებოდა. არავინ იცის, რა უტრიალებდა თავში NBA-ის კომისარს, მაგრამ თუ ის ფინალური სერიის პირველი ორი მატჩის შემდეგ იტყვის, რომ ლიგაში "საშინაო მსაჯობა" არ არსებობს, მას საყოველთაო რისხვა დაატყდება თავს.

## მსაჯობა

სამწუხაროდ, წლევანდელ პლეი ოფში მსაჯობის თემა აქტუალურია და გამონაკლისი არც ფინალური სერია გახლავთ. თუ პირველი მატჩი რამდენიმე საკამათო სიტუაციით დაგვამახსოვრდა, მეორეში, უბრალოდ, ცირკი ვიხილეთ, განსაკუთრებით პირველ ნახევარში. მაგალითად, შეტევაში **კობი ბრაიანტზე** უაზრო ჯარიმა, რომლის დროსაც, თვით ბოსტონელი კალათბურთელებიც კი გაკვირვებულები დარჩნენ. დაიჩაგრა **ლამარ ოდომიც**, რომელსაც 20 წამში ორი პერსონალური მისცეს. მსაჯებმა რადმანოვიჩიც არ დაინდეს.

ზედმეტი პერსონალურების გამო, **ფილ ჯექსონი** იძულებული ხდებოდა მასპინძლების საბრძოლო შემადგენლობის წინააღმდეგ რეზერვისტები შეეშვა სათამაშოდ, ამას კი, ერთ მომენტში "ბოსტონის" 10:0 გაქცევა მოჰყვა. ასეთი მომენტები ორივე მატჩში მრავლად იყო.

## დაპირისპირება

პირველი ორი მატჩის მთავარი სიურპრიზი "ბოსტონის" მწვრთნელის, **დოკ რივერსის** გადაწყვეტილება გახდა, რომელმაც ბრაიანტის მეურვეობა არა **პოლ პირსს** ან **ჯეიმს პოუსის**, არამედ **რეი ალენს** დაავალა. შესაძლოა, "სელტიქსის" დამრიგებლის ეს გადაწყვეტილება კობისა და რეის შორის დაძაბული ურთიერთობით აიხსნება (ეს დაპირისპირება საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს, როცა ბრაიანტის გამო "ლეიკერსი" დატოვეს **შაკმა** და **ჯექსონმა** და ამის გამო, ალენმა კობი ეგოიზმში დაადანაშაულა).

რეი ალენის დაცვაში თამაში ნამდვილი აღმოჩენა გახდა, განსაკუთრებით იმ საშინელი თამაშის ფონზე, რომელიც "სელტიქსის" მე-20 ნომერმა "კლივლენდთან" სერიაში აჩვენა. მასპინძელთა ვეტერანი "ლეიკერსის" ლიდერს მუდმივად უხერხული პოზიციებიდან სროლას აიძულებდა, გარდა ამისა, **ბრიუს ბოუენის** ("სან ანტონიო") სტილში, კობის საფირმო გარღვევების საშუალებას არ აძლევდა.

## გმირი

ალბათ, უკვე მოსაბეზრებელი გახდა პირველ მატჩში პოლ პირსის გმირობაზე საუბარი, მაგრამ ამ მომენტისთვის გვერდის ავლა მაინც არ შეიძლება. პოლის ნაქცევისა და შემდეგ მისი გასახდელში გაყვანის შემდეგ, "ბოსტონის" ფანებმა ყურები ჩამოყარეს. სწორედ ამ მომენტს დაემთხვა **კევინ გარნეტის** წარუმატებელი თამაშიც და ისე ჩანდა, რომ "სელტიქსის" საჩემპიონო ამბიციებს ხაზი გადაესვა.

მაგრამ "კელტების" კაპიტანმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, პარკეტზე დაბრუნდა და ამით მეორე სუნთქვა გაუხსნა თავის გუნდს. მისი დაბრუნება აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის სიგნალი იყო. პირსის გარეშე, "სელტიქსის" მოთამაშეები ჩაძირული ხომალდის მგზავრებივით იყვნენ, რომლებიც დინებას მიჰყვებოდნენ და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალება არ ჰქონდათ. პოლი მაშველი ნავი აღმოჩნდა და მისმა პარტნიორებმა ნიჩბებს გასამმაგებული ენერგიით მოუსვეს.

## ხასიათი

წლევანდელ პლეი ოფში ანგარიშში ჩამორჩენის ყველაზე სწრაფად გაბათილების რეკორდი "ჰიუსტონს" ეკუთვნის, რომელმაც ექვს წუთში "მინუს 19" "მინუს ერთამდე" დაიყვანა. მაგრამ ფილ ჯექსონის შეგირდებმა მეორე მატჩის მეოთხე მეოთხედში სასწაული მოახდინეს! საფინალო სირენამდე 7 წუთითა და 27 წამით ადრე, "ბოსტონ გარდენის" ტაბლოზე 96:73 იყო მასპინძლების სასარგებლოდ. მაგრამ ძირითადის დასრულებამდე 22 წამით ადრე, "ბოსტონის" უპირატესობა მხოლოდ 2 ქულას შეადგენდა.

მთელი მატჩის განმავლობაში საშინლად მოთამაშე რადმანოვიჩმა ფინალურ მონაკვეთში შვიდი ქულა შეაწია გუნდს, გააქტიურდნენ **ვუიაჩიჩი** და **ფიშერი,** თავად კობიმ ბოლო მეოთხედში 13 ქულა გააკეთა, მთლიანად მისმა გუნდმა კი - 41. და ეს ყველაფერი "კელტების" სანაქებო დაცვის წინააღმდეგ, მათსავე მოედანზე და თან, NBA-ის ფინალურ სერიაში!..

## სათადარიგოები

ფინალური სერიის წინ, სპეციალისტებმა ყურები გამოგვიჭედეს იმაზე საუბრით, რომ "ლეიკერსს" მთელს ლიგაში საუკეთესო სათადარიგოთა სკამი აქვს. მაგრამ სად არიან კალიფორნიელთა ნაქები რეზერვისტები? აქ საქმე დისბალანსშია. სინამდვილეში, "ლეიკერსს" როტაციაში სულ სამი მაღალი ჰყავს - გასოლი, ოდომი და **ტურიაფი.** ამ უკანასკნელის შეტევაში მოქმედება იოლად პროგნოზირებადია, დაცვაში კი, ბევრ პერსონალურს იღებს. "კელტებს" კი, ჰყავთ **პი ჯეი ბრაუნი, ლეონ რაუ, გლენ დევისი...** ანუ რივერსს მანევრების კარგი საშუალება გააჩნია.

დოკის გუნდის დიდი პლუსია ის, რომ არავინ, არასდროს არ იცის, ვინ გაისვრის კონკრეტულ მატჩში. პირველ შეხვედრაში ასეთები იყვნენ **კასელი** და ბრაუნი, მეორეში კი, არაჩვეულებრივი თამაში აჩვენა **პოუმ.** არ უნდა დავივიწყოთ სასტარტო ცენტრი **პერკინსი** და მით უმეტეს, **რონდო!** როცა "ბოსტონის" ახალგაზრდა პლეიმეიკერი (ლიგაში მეორე სეზონს ატარებს), NBA-ის ფინალური სერიის მატჩში 16 შედეგიან გადაცემას აგროვებს, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მისი სახით რივერსს ჩამოყალიბებული კალათბურთელი ჰყავს.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სტაბილურობის გარანტია არ გახლავთ, მაგრამ არაპროგნოზირების ფაქტორი "ბოსტონს" მეტოქეზე გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. ფილ ჯექსონის ტვინიც კი ვერ ხვდება იმას, "სელტიქსის" რომელი სათადარიგო გაისვრის კონკრეტულ მატჩში.

## მწვრთნელები

ბუნებრივია, სამწვრთნელო ტიტულების მხრივ, დოკ რივერსი ახლოსაც ვერ მივა ჯექსონთან. მართალია, "სელტიქსის" დამრიგებელს NBA-ში საუკეთესო ასისტენტი ჰყავს დაცვითი სქემების აგების მხრივ (საუბარია **ტიმ ტიბოდოზე** - "ბოსტონის" დაცვითი ტაქტიკა მთლიანად მისი შემუშავებულია), მაგრამ ეს წყვილი მაინც ვერ გადაწონის "ლეიკერსის" დამრიგებლის პროფესიონალიზმსა და ავტორიტეტს. მაგრამ მოცემულ მომენტში, ბოსტონში გამართული მატჩების შემდეგ, "ლეიკერსის" კოლოსალური სამწვრთნელო უპირატესობა "დიდი სამეულის" (პირსი-გარნეტი-ალენი) წარმატებული მოქმედებით ბათილდება.

სავარაუდოდ, ამ სერიაში გადამწყვეტი იქნება მეოთხე მატჩი. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ "ლეიკერსი" მესამე შეხვედრას თავის სასარგებლოდ დაასრულებს, ხოლო შემდეგ მატჩში რივერსს ჭეშმარიტების მომენტი დაუდგება. თუ მოიგებენ, ბოსტონელებს თითქმის ჯიბეში ექნებათ საჩემპიონო ბეჭდები. წაგების შემთხვევაში კი, "ბოსტონის" ფანები გარნეტის, პირსისა და ალენის სურვილზეღა იქნებიან დამოკიდებულნი.

## ფრაზა

*"უბრალოდ, საშინლად თამაშობდით. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ გუნდს ასე ცუდად მოქმედება შეეძლო. და თქვენ ეს გააკეთეთ! გამოფხიზლების დრო არ მოვიდა, ბიჭებო? აჩვენეთ სინამდვილეში რა შეგიძლიათ",* - ასეთი სიტყვებით მიმართა ფილ ჯექსონმა თავის შეგირდებს მეორე მატჩის მესამე მეოთხედში, "სელტიქსის" 10:0 გაქცევის შემდეგ აღებული ტაიმაუტის დროს.

გიორგი **თვალია**

---

ახალი ამბები

# დეტროიტში კარი, ჩიკაგოში დელ ნეგრო

"ფინიქს სანზში" **ტერი პორტერის** დანიშვნის შემდეგ, "დეტროიტ პისტონზმაც" და "ჩიკაგო ბულზმაც" იპოვნეს მწვრთნელები, რომლებიც ამ გუნდებს მომავალ სეზონში გაუძღვებიან.

სააგენტო AP-ის ცნობით, "დეტროიტის" დამრიგებელი იქნება **მაიკლ კარი**, რომელიც გასულ სეზონში, ცოტა ხნის წინათ განთავისუფლებული **ფლიპ სონდერსის** ასისტენტის მოვალეობებს ასრულებდა. 40 წლის კარი სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და თითო სეზონში 2.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

მაიკლ კარიმ სათამაშო კარიერის ბოლო ხუთი წელიწადი "დეტროიტში" გაატარა, სადაც კლუბის ამჟამინდელი პრეზიდენტის, **ჯო დუმარსის** თანაგუნდელი იყო.

ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება "ჩიკაგო ბულზსაც". კლუბის ხელმძღვანელობამ თანამშრომლობა შესთავაზა "ფინიქსის" გენერალური მენეჯერის ასისტენტს, **ვინი დელ ნეგროს,** რომელიც "ხარების" ისტორიაში რიგით მე-17 მწვრთნელი გახდება.

მხარეებს კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ფორმალობა ჯერ არ მოუგვარებიათ, მაგრამ Chicago Tribune წერს, რომ "ჩიკაგოს" გენერალურმა მენეჯერმა **ჯონ პაქსონმა** საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღო და მის შეცვლას არ აპირებს. ასე რომ, მომავალ სეზონში კლუბს დელ ნეგრო უთავკაცებს.



მაიკლ კარი

"ჩიკაგოს" მწვრთნელობაზე პრეტენზიას აგრეთვე აცხადებდნენ "საკრამენტოს" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ჩაკ პერსონი** და "მინესოტას" ყოფილი დამრიგებელი **დუეინ კეისი.**

გია **თვალაბეიშვილი**

---

# პისტონზს კარმელო მოუნდა

"დეტროიტმა" მთავარი მწვრთნელი იპოვნა და ახლა შემადგენლობის გაძლიერებაზე იწყებს ფიქრს. "პისტონზის" ხელმძღვანელობა დიდ ტრეიდს ამზადებს, რომლის წყალობითაც, მის რიგებში "დენვერ ნაგეტსის" ლიდერი **კარმელო ენტონი** უნდა გადავიდეს.

სხვათა შორის, დეტროიტელებს 2003 წლის დრაფტისას შეეძლოთ ამ კალათბურთელის აყვანა, მაგრამ მაშინ კარმელოს სერბი ცენტრი **დარკო მილიჩიჩი** ამჯობინეს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ, "დეტროიტის" პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** ოფიციალურად გამოაცხადა - ჩემს გუნდში ხელშეუხებელი კალათბურთელი აღარ დარჩა და ნებისმიერმა მათგანმა შეიძლება მიიღოს გაცვლებში მონაწილეობაო.

გია **თვალაბეიშვილი**

---

# არენასი ვაშინგტონს დაშორდა




"ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერმა **გილბერტ არენასმა** კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და ყველა საჭირო დოკუმენტი NBA-ის ოფისში ჩააბარა. "ვაშინგტონის" ხელმძღვანელობას მომავალ სეზონში კალათბურთელისთვის 12.8 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა, მაგრამ არენასმა გადაწყვიტა, შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გამხდარიყო.

ასოციაციის კლუბებს გილბერტთან მოლაპარაკებების წარმოება პირველი ივლისიდან შეეძლებათ, როცა თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნება. მიუხედავად კალათბურთელის გადაწყვეტილებისა, "უიზარდსის" პრეზიდენტი **ერნი გრანფილდი** აცხადებს, რომ არენასისა და **ანტუან ჯეიმისონის** გაფორმებას მაინც აპირებს. ამ უკანასკნელს კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა.

როგორც "ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, არენასს ლიგის რომელიმე კლუბთან ექვსწლიანი კონტრაქტის გაფორმება აქვს განზრახული, რომლის დროსაც, მისმა ჯამურმა ხელფასმა 120 მილიონი დოლარი უნდა შეადგინოს.

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ავტოსპორტი. ფორმულა 1. კანადის დიდი პრიზის შემდეგ

# კუბიცას ტიტული მოუნდა




კანადის დიდ პრიზზე ტრიუმფის შემდეგ, "ბეემვე ზაუბერის" პოლონელი პილოტი **რობერტ კუბიცა** არ მალავს, რომ პირველი გამარჯვების მოპოვების შემდეგ, მის მთავარ მიზანს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა წარმოადგენს. მონრეალში მოპოვებული გამარჯვებით, კუბიცა ჩემპიონატის ლიდერიც გახდა (მეორედ ამ სეზონში) და ის ახლა ოთხ ქულას უგებს მეორეზე მყოფ ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს**, ვინც კანადური რბოლა უქულოდ დაასრულა.

*"ახლა მე ჩემპიონატის ლიდერი ვარ და თუ ავსტრალიურ რბოლას არ ჩავთვლით, განვლილ შვიდ რბოლაში, ჩემთვის ყველაზე უარესი მეოთხე ადგილი იყო. აშკარაა, რომ სტაბილური შედეგები მაქვს, ეს კი შანსია, რომელსაც გამოყენება უნდა. ვიმედოვნებ, რომ გუნდი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ სტაბილური და კონკურენტუნარიანი მანქანა მომიმზადოს და მეც მაქსიმალურად დავიხარჯები იმისთვის, რომ ეს შანსი გამოვიყენო. როცა შვიდი რბოლის შემდეგ ლიდერი ხარ, ესე იგი, გაქვს მანქანა, რომლითაც რბოლების მოგება შეგიძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოპ გუნდში ხარ. მოკლედ, ჩემპიონობისთვის საჭირო ყველა ინგრედიენტი სახეზეა და მე მის გამოყენებას ვაპირებ"*, - ამბობს კრაკოველი პილოტი, ვინც მონრეალის ტრასაზე, შარშან საშინელი ავარია განიცადა და განსაცდელს სასწაულებრივ გადაურჩა.

აღსანიშნავია, რომ მონრეალამდე, წინა 24 რბოლა მხოლოდ ორი გუნდის, "ფერარისა" და "მაკლარენის" პილოტებს აქვთ მოგებული. სხვა გუნდის პილოტს კი ბოლო რბოლა – იაპონიის დიდი პრიზი, 2006 წლის ოქტომბერში მოუგია, ამ პილოტის სახელი კი **ფერნანდო ალონსოა**, ვინც მაშინაც "რენოში" ასპარეზობდა. ესპანელმა შარშანაც მოიგო ოთხი ეტაპი, ოღონდ "მაკლარენის" ბოლიდით.

სხვათა შორის, კანადის დიდი პრიზის კვალიფიკაციის შემდეგ, რომელზეც მეორე ადგილი დაიკავა, კუბიცა თვლიდა, რომ რბოლის მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდა. მაგრამ რბოლის დროს, ბოქსების გამოსასვლელში მომხდარმა ინციდენტმა ის ფავორიტად აქცია. და მანაც ეს შანსი შესანიშნავად გამოიყენა.

ამ ინციდენტში ჰემილტონი, მსოფლიოს ფინელი ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** და გერმანელი **ნიკო როსბერგი** აღმოჩნდნენ გარეულნი. იმ დროს, როცა კუბიცა და რაიკონენი გამოსასვლელში წითელი შუქის ჩაქრობას ელოდნენ, ჰემილტონი ფინელის "ფერარის" უკნიდან დაეჯახა და ორივესთვის რბოლა იქვე დასრულდა. არადა, სწორედ ეს ორი პილოტი იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ პოლონელი რბოლის მოგებას გამორიცხავდა.

ამიტომ, ის თვლის, რომ "ბეემვეს" ჯერაც ბევრი სამუშაო აქვს იმისთვის, რომ სრულიად კონკურენტუნარიანი ბოლიდი შექმნას, რომლითაც, სხვების ხელმოცარვის გარეშე შეძლებს რბოლების მოგებას.

*"ჩვენ ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ. ამ სეზონში ჩვენი მიზანი პირველი გამარჯვების მოპოვება იყო. ჩვენ მას მივაღწიეთ. არადა, აშკარაა, რომ ჰემილტონი ჩემზე სწრაფი იყო. მე მას მადლობას ვუხდი იმისთვის, რომ კიმის დაეჯახა და არა მე"*, - დასძენს კუბიცა, ვინც ინციდენტის მომენტში, რაიკონენის გვერდით იდგა.

პოლონელი პილოტი აღნიშნავს, რომ გასულ სეზონში, ბოლიდის მისთვის მორგებისთვის, მის კონსტრუქციაში ზოგიერთი ცვლილების შეტანას ითხოვდა. მაგრამ რამდენადაც გამოცდილება არ ჰქონდა, გუნდის ინჟინრებმა ჩათვალეს, რომ პილოტი ცდებოდა. მაგრამ ამ სეზონისთვის მისი ყველა მოთხოვნა შესრულდა, რაც შედეგებზეც უმალ აისახა. თავად კი სეზონებს შორის ექვსი კილოგრამი დაიკლო და მიაჩნია, რომ ამანაც მის შედეგებზე სერიოზულად იმოქმედა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ველოსპორტი. დოპინგი

# ბოონენი კოკაინზე გამოიჭირეს




პარიზი-რუბეს ველორბოლის გამარჯვებულსა და შარშანდელი ტურ დე ფრანსის მწვანე მაისურის მფლობელს, ბელგიელ **ტომ ბოონენს** დოპინგ-კონტროლმა სინჯში კოკაინის კვალი აღმოუჩინა. მართალია, ამის გამო მას დისკვალიფიკაცია არ ემუქრება, მაგრამ სავარაუდოდ, მომხდარი მის გუნდ "ქვიკ სტეპს" სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ახალი სპონსორის ძიებაში.

ბელგიის პოლიციამ ამასთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო. სამართალდამცველებს აინტერესებთ, ბოონენი თავადაა ნარკოტიკის მომხმარებელი, თუ გავრცელების რაიმე სქემაშია გარეული. ყოველ შემთხვევაში, პოლიციამ ბოონენისა და მისი გერლფრენდის სახლებში ჩხრეკა უკვე ჩაატარა, თუმცა კოკაინის კვალისთვის არ მიუგნია.

ტესტის შედეგები კი მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოსა და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს გადაეგზავნებათ. კოკაინი რბოლების დროს იკრძალება, თუმცა რბოლებს შორის შუალედში მისი გამოყენებისთვის, ველოსპორტში არავის სჯიან.

აღნიშნული ტესტი კი სპრინტერს ბელგიური ტურის დაწყებამდე სამი დღით ადრე ჩაუტარდა. მართალია, ბელგიის ველოსპორტული ფედერაცია ბოონენის დასჯას არ აპირებს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მაინც მიუსაჯოს.

ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში, ბელგიურ პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ბოონენი ციკლოქროსის ერთ-ერთ ბელგიელ ველომრბოლს კოკაინით ამარაგებდა. მაშინ ველომრბოლმა ეს ინფორმაცია უარყო. ამ დღეებში, ის შვეიცარიის ტურზე გამოსვლას გეგმავდა, მაგრამ რბოლის ორგანიზატორებმა მისი სახელი განაცხადიდან ამოიღეს. თუმცა, მის გუნდს ასპარეზობის უფლება მაინც დაუტოვეს.

ბოონენს სამი წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონატი (საგზაო რბოლაში) აქვს მოგებული. მის ანგარიშზეა ასევე ფრანგულ ტურზე მოგებული რამდენიმე ეტაპი, პარიზი-რუბეს ორი და ფლანდრიის ტურის ერთი ტიტული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 11 ივნისი. ოთხშაბათი

#### რუსთავი 2

19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-ჩეხეთი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-თურქეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:00 საფეხბურთო კლუბი.
10:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი.
12:55 საფეხბურთო კლუბი.
13:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-შვედეთი.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
16:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი.
19:00 საფეხბურთო კლუბი.
19:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-ჩეხეთი (LIVE).
21:55 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-თურქეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
07:30 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მიმოხილვა.
08:25 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ფინალი. იტალია.
09:45 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
10:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი.
12:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ხეტაფე-სევილია.
13:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-შვედეთი.
15:30 ცურვა. Mare Nostrum. ბარსელონა.
17:25 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
18:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-ჩეხეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-თურქეთი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ინტერი-ნაპოლი.
03:20 ფეხბურთი. Barca TV.
03:30 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
04:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ხეტაფე-სევილია.
05:40 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი.

#### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. პრო ტური. კრიტერიუმ დოფინე ლიბერე. III ეტაპი. საფრანგეთი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:30 მულტისპორტი.
22:40 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:45 გოლფი. US PGA-ის ტური.
23:45 გოლფი. ევროპის ტური.
00:15 გოლფ-კლუბი.
00:20 აფროსნობა. ბრაზილიის თასი.
00:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:55 მულტისპორტი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ფინეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| პკ35-ატლანტისი | 2:0 |

### კალათბურთი

#### იტალია

| | |
|---|---|
| რომა-მონტეპასკი | 84:70 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ლონდონი

| | |
|---|---|
| ანდერსონი-ისნერი | 6:7, 4:6 |
| დანჩევიჩი-ბოლელი | 2:6, 0:6 |
| მალისე-ევანსი | 6:1, 6:1 |
| სეპი-კლემანი | 6:3, 4:6, 6:1 |
| ანჩიჩი-ვერდასკო | 7:6, 6:4 |
| კუერი-პატიენსი | 5:7, 7:5, 4:6 |
| მარეი-გროსჟანი | 6:0, 6:0 |
| რეინოლდსი-მინარი | 1:6, 5:7 |
| გონსალესი-ბლუმფილდი | 7:6, 6:3 |
| კარლოვიჩი-სირიანი | 6:3, 6:2 |
| მატიო-ჩილიჩი | 6:3, 3:6, 6:4 |
| მაუ-ფ. ლოპესი | 6:3, 6:7, 7:6 |
| ფიში-როჟე ვასელენი | 6:1, 6:4 |

#### ATP. ვარშავა

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-ფონინი | 5:7, 6:0, 4:6 |
| კანიასი-ორნა | 6:2, 6:7, 6:4 |
| ოდესნიკი-ბელანკისი | 6:4, 6:3 |
| ვენტურა-პაშანსკი | 6:4, 6:2 |
| გრანოლერსი-მერტინაკი | 7:6, 6:4 |
| დავიდენკო-კუევასი | 6:3, 6:2 |
| მონტანიესი-სკოხი | 7:6, 6:4 |
| რობრედო-პრსიეჟნი | 7:5, 6:2 |
| ერნანდესი-როიტმანი | 3:6, 6:4, 6:0 |
| მონაკო-იანოვიჩი | 6:4, 6:3 |
| სიმონი-კ. როხუსი | 1:6, 6:3, 3:6 |

#### ATP. ჰალე

| | |
|---|---|
| ბლეიკი-ფაუ | 6:4, 6:1 |
| სანტორო-შუტლერი | 7:6, 6:4 |
| იუჟნი-ტურსუნოვი | 6:3, 6:1 |
| კიფერი-ჰაასე | 4:6, 6:3, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-ლოდრა | 7:6, 6:7, 5:7 |
| ო. როხუსი-დარცისი | 1:6, 4:6 |
| ვაჩეკი-ლიპსკი | 3:6, 6:3, 6:2 |
| შტეპანეკი-ჰაასი | 7:6, 6:7, 4:6 |
| ბალდატისი-ჰერნიხი | 6:4, 7:5 |

#### WTA. ბირმინგემი

| | |
|---|---|
| კ. ბონდარენკო-კეოტავონგი | 6:3, 6:2 |
| ჩეტკოვსკა-იუანი | 6:2, 6:1 |
| დომახოვსკა-რუუტელი | 6:4, 6:4 |
| პინი-როდიონოვა | 7:5, 7:6 |
| ერაკოვიჩი-დუბუა | 6:4, 6:4 |
| ბამერი-საუთი | 3:6, 5:7 |
| დელაკუა-დიტი | 7:6, 6:2 |
| დეში-ბრემონი | 7:5, 6:2 |
| კინგი-ჩინკი | 2:6, 6:7 |
| რუანო პასკუალი-სეკერა | 6:3, 6:7, 6:1 |
| მაკაროვა-კერბერი | 6:7, 7:5, 7:5 |
| პაჩეკი-ტანასუგარნი | 1:6, 0:6 |
| რეზაი-მატეკი | 1:6, 4:6 |
| სტოსური-ლისიცკი | 6:3, 6:4 |
| კრაიჩეკი-პუტჩეკი | 6:2, 6:1 |

#### WTA. ბარსელონა

| | |
|---|---|
| გარბინი-ივანოვა | 6:4, 5:7, 3:6 |
| პარა სანტონხა-გაბარუსი | 6:1, 6:3 |
| ერანი-დომინგეს ლინო | 6:3, 6:2 |
| გალოვიტცი-ვაკულენკო | 6:2, 0:6, 6:3 |
| პეერი-ლაგოსტერა ვივესი | 5:7, 2:6 |
| ციბულკოვა-კოენ ალორო | 5:7, 0:6 |
| კირილენკო-ოსტერლო | 6:0, 6:0 |
| კასტანიო-კონდრატიევა | 6:7, 6:4, 0:6 |
| საფაროვა-კოსტასი | 6:2, 6:1 |
| სუარესი ნავარო-მოლიკი | 6:2, 6:4 |

კრივი

# ჰოლმსი დააფასეს

58 წლის ლეგენდარულმა მოკრივემ **ლარი ჰოლმსმა** ცრემლები ვერ შეიკავა, როცა ის ამერიკის ქალაქ კანასტოტში ოფიციალურად შეიყვანეს კრივის დიდების დარბაზში.

*"მაპატიეთ, რომ ცრემლები ვერ შევიკავე, მაგრამ რატომაც არა?* - განაცხადა ჰოლმსმა ხანგრძლივი ოვაციის შემდეგ, რომლითაც მას ცერემონიაზე დამსწრეები მიესალმნენ. - *როცა ასეთი მომენტი დგება და ხალხი გესალმება, ტირილი გინდება... თქვენც ჩემთან ერთად იტირეთ, იმიტომ, რომ მე ბედნიერი ვარ".*

შვიდი კლასის განათლების მქონე ჰოლმსი, სუპერმძიმე წონაში 1978-85 წლებში ფლობდა ჩემპიონის ტიტულს და მისი დაცვა 20-ჯერ მოახერხა. ამ მაჩვენებლით ლარი მხოლოდ **ჯო ლუისს** ჩამორჩება, რომელმაც ტიტული 25-ჯერ დაიცვა.



ჰოლმსმა კინაღამ **როკი მარჩიანოს** შედეგი გაიმეორა, მაგრამ პროფესიულ რინგზე თავის 49-ე ბრძოლაში საჩემპიონო ტიტული **მაიკლ სფინქსთან** დათმო - ეს მისი პირველი მარცხი იყო კარიერაში.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროცოლები

ინგლისურმა სანმა ევრო 2008-ის მონაწილეთა ცოლებიდან 10 საუკეთესო შეარჩია


ბელენ როდრიგესი (მარკო ბორიელო)


ანინ ბინგი (ანდერს სვენსონი)


მარტა ჩეკეტო (ლუკა ტონი)


ადელინა ელისეი
(კრისტიან კივუ)


სარა ბრანდერი
(ბასტიან შვაინშტაიგერი)


ნერეიდა გალიარდო
(კრისტიანო რონალდო)


სილვი ვან დერ ვაარტი
(რაფაელ ვან დერ ვაარტი)


ევა გონსალესი (იკერ კასილიასი)


ალენა სერედოვა (ჯანლუიჯი ბუფონი)


ნეომი ლენუარი (კლოდ მაკელელე)